

345
1896/2

№ VI

ՀԱՅԿԵՆՆԵՐ
ՄԱՅՆՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅՐԱԶՈՐ



1896 Ո Յ Ե Ո Ե Ո



შ ი ნ ა ა რ ს ი

ქუთნალის „ჯეჯილისა“

I დედის მოთქმა, ლექსი—შ. შვიდეულისა 3

II მესკია, მოთხრობა—ჯანოსი 6

III გრძელი ამბავი მოკლეთ ნათქვამი,თარგმანი—ა. ყუძისთაველისა 18

IV მოტივტივე მინდვრები (თარგმანი თრანგულიდან)—ან. წ—სა 22

V მატლს, ლექსი—ჯ. თომაშვილისა 29

VI სეაფი, ამბავი—გაქა-ფაშაველასი 30

VII საკვირველი სიზმარი— გ. წულტუბუდისა 36

VIII ლაკლაკი, მოთხრობა ფრინველთა ცხოვრებიდან—ან. წ—სა 39

IX ხარაზი—მისიონერი, ბიოგრაფია—ა. წ—სა 43


X ქიანქველების ქკუა— ისკანდერისა 49

XI მეწისქვილე ივაფი—აღ. მ—შვილისა 51


XII ლომი და ფინია (თარგმანი)— ბესარიონისა 52

XIII ათასი ოქრო (თარგმანი)—ბეს. ვაშაძისა 53

XIV წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, მატმატიკური გამოცანა, შარაღა, რეზუსი და სხვა 55



ქუთნალი „ჯეჯილი“ 1896 წელს გამოდის ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს—ექვსის მაგივრათ და ქუთნალი მსოფლით ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.) რედქციაში მუდმივი თანამშრომლობა იკისრეს: რაქ. ჯაჯანაშვილმა, აღ. მირიანაშვილმა და აღ. კარსევანაშვილმა.



899.102.1(05)

5-40



საქართველო

საქართველოს სახატებრიანი

ჟურნალი

4325
3205

იზარდე, მუვანე დევილო,
დაპურდი; გახლი უნაო!..
ი. დ.

№ VI

წალიწალი მეზვიდა

ქართული	№
რუსული	№
ფრანგული	№
გერმანული	№
ინგლისური	№

9278

ბუილისი

სტაბა გ. დ. გოცინანცისა ||| Тип. М. Д. Ротшица. Гол. ар , д. № 41.
1896.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 19-го Юня 1896 гола.



დედის მოთქმა

ორს ცაში ელავს ცისკარი
მანარობელი დილისა;
სიო ჰქრის, მაჰქვს თან სუნი
ყვავილეებისა შლილისა.

არხევს ვერხესა და მუხასა
ზეფირი წყნარის ქრალითა,
ფოთლიდან ფოთოლს ასხურებს, ჰ
ცივის ნამების სროლითა.

იღვიძებს ტყე და მინდორი,
კეკლუცობს, მხიარულდება,
მზე აფერადებს მთის წვერებს
და ცის ლაქვარდში ცურდება.

მაგრამ ნენესთვის ყველა ეს
საწამლაფია, წყლულოია,
ისე გაჰყარა ღამე დღეს
თვალი არ მოულოულოია.

და ახლაც ცრემლი ჩამოსდას
ლაწვებზე სიმწუხარისა,
მოთქვამს და ხდება გულიდან
კენესა ვით გლოფა ზარისა:

„შეილო, როდესაც აღვიძებს
 მზე ფრინველთ მთა-ველთ-ქალებსა,
 შენ მაშინ მისხაე ცეცხლზე წყალს
 და ხუჭაე ქორთა თვალებსა.

ბედ-შაეი, როგორც მედგარი
 კირს ლხინათ ეგებებოდი,
 რა გინდ მწვეოდა ნაღველი
 შენის მზერითა ეტკებოდი.

როდილა ვიყავ ღარიბი,
 არც ემღუროდი სოფელსა,
 ისე ეუმზერდი სუყველას
 როგორც ღმერთსა და მშობელსა.

სიტყვლე, შიმშილ წყურვილი
 ბევრჯელ ნახული თვალითა,
 არად მიმაჩნდა, ფეიცაე მზეს,
 მე შენი' სიყრმის ძალითა.

ფეიქრობდი გამეზრდებოდი
 დამიშვენებდი კერასა,
 წინ წამოსწეედი ოჯახსა,
 გაახარებდი ყველასა.

ძუძუს ნუ დაწვეაე, მობრუნდი,
 ნუ დაიღუნებ ენასა,
 თორემ დავიხრჩობ თავს, მიეცემ
 ახლავე წყალთა დენასა.

აგერა შენი კოპწია
 კომბალი, სახრე, კალათი,
 ელიან შენსა ადგომას,
 გარეთ გიწეევენ ძალათი.

ადე ჩახედე ენახში
 მამაშენს, მოხუც ძიასა,

მარწყვს დაკიკრევენ, მოგცემენ
მრავალს ყვავილს და იასა.

მოუტა შენსა დედასა,
დამწეარს დადაკულს გულოთა,
ყელს შემოეკენ მხურვალეთ
ავეს სიხარულითა.

ჰა ჩენი სახლის პეპელაც
გარეთ კარებზე ფრთხილებს,
ისიც მიგიწევეს გარეთა
და მიტომ აქვე ტრიალებს.“

ტიროდა დედა, ჰკენსოდა,
სიმწარით იბნიდებოდა,
მაკრამ მის პირმშოს, უკვე მკედარს
ეს აღარ ეყურებოდა.

შ. მღვიმელი.





მ ე ს კ ი ა *)

ადგა შუენიერი მანისი, ტყე და მინდორი აბიბინდა, ათასნაირმა უვაჟილებმა მოლი მორთეს და არე-მარე ოქროძეკედით ნაქარკ მწვანე სავერდს დაამსკავსეს. დათბა; ჩიტები გამსიარულდენ, თავის ჟივილ-სივილით დამუნჯებული ჩირკვები და სეები გაბაცოცსლეს და ააღა-პარაკეს. პატარა სანდროს

ლამის სული წაუვიდეს, სანამ დაითხოვდენ სკოლიდან. გამოცდა უკვე გაუთავდა; შემდეგ კლასშიაც გადავიდა; ახლა გული გულის ადგილასა აქვს;—„დედა-ჩემი მეუბნებოდა, თუ კარგათ ისწავლი, უოველისფერს ავისრულებო, და აბა ახლა უარს ვედარ მეტყვისო;—ჭფიქრობდა სანდრო თავის გულში:—„დედა, ჩვენი ბლები რავა შავათ იქნებიან ჩამორანგული! კადეც ვიჯერებ გულს... დავაგებ

*) პატარა გულ-ყვითელა ჩიტია.



„სედ მასეებს და მაშინ უუურე, რამდენ შაშვსა და უარა-
ნას ავუტორებ დედას!.. ღმერთო, ერთი ძაღუ მოიუვანე
სუთმაბათი, რომ სოფლისკენ ვსდურთო“.

სანდრო ციებინასავით ბორკავდა, სანამ სუთმაბათი
კათენდებოდა; სამი დღე სამ წლათ გადაექცა; საჭმლის
მადა აღარა ჰქონდა, გული ძლივსღა უცემდა, ღამე მი-
ლი აღარ ეკარებოდა, ბოლოს ეშველა... დაღვა სუთმაბა-
თიც, სანდრო სინარულისაგან ფესზე აღარა დგას... აი
ის უკვე სადგურზე მიიუვანეს... მატარებელში ჩასვეს...
„ძინ...ძინ...ძინ“... გაისმა ზარის ხმა, „ეს ერთი, — წამო-
იძახა მოუთმენლათ სანდრომ. — სამჯერ რომ დარეკავს, მა-
შინ კი გავსწევ“. გაიარა რამდენიმე ხანმა, რომელიც
სანდროს ათის ზომით მეტი ეჩვენა, და გაიკონა მეორეთ
სანატრელი „ძინ...ძინ... ძინ“... „ეს ორი! აბა ერთი მე-
სამეც და მშვიდობით, ქალაქო! ამბობს განარებული სანდ-
რო: მოდი თვლას დავიწეებ, ვნახოთ, რამდენს მოვასწრებ,
სანამ მესამეთ დარეკავდენ!“

დაიწყო სანდრომ თვლა: ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი... ორასი მეტი დათვალა, მაგრამ ზარის რეკას კი
არაჴინ აპირობდა. — „რა ღმერთი გაუწერთ, სომ არ და-
ეძინათ? ფიქრობდა სანდრო ოა მატარებლის ფანჯრიდან
ისეღებოდა, მაგრამ ზარის მრეკავი თავის ალაგს იღვა. —
„მამ რატომ არ რეკავს?“ რომ აღარა ეშველა-რა, სანდ-
რომ თავის გულში ღანძღვა-გინებაც კი დაიწყო, მოთმი-



ნება დაჰკარგა, მოიფშხალა, მაგრამ ამ დროს ზარმა და-
 იწკრიბალა და სანდროსაც სასე გაუბრწვინდა. „ტრრრ“...
 გაისმა სტვენა. „ვუუუ... ვუუუ... ვუჰ“... შეჰკვივლა მატარე-
 ბელმა. „ტრრრ“... განუძეორა სასტვენელმა. მატარე-
 ბელმა უკანასკნელათ შეჰკვივლა, ერთი ღრმით ამოიხენებდა
 და ზანტათ დაიძრა. სანდროს სისარულს სასლვარი აღა-
 რა ჰქონდა... ვანშობისას სანდრო უკვე სადგურზე იყო.
 იქ სასლიდან გამოგზავნილი ცხენი დაუსვდა. მეორე დღეს
 სანდრო, მამლის ევილისას, ცხენზე შეჯდა და სამხრო-
 ბისას კი საფარელი დედის კალთაში იჯდა. — „ვენაცვა-
 ლე ჩემ ბიჭს, — ეაღერსებოდა დედა სანდროს და ჰკითხავ-
 და, აბა ამ ერთ წელიწადში რა ისწავლეო. — ვეღაფე-
 რიო, ეუბნებოდა სანდრო: წერა, კითხვა, საზვა, სატვა,
 ქართული, ანგარიში, გაღობა, საღმრთო-რჯული... ვინ
 იცის კიდევ რამდენიო. — შემდეგ სკოლის ამბავს მოუყვა. დე-
 დას კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ სანდროს სულ-
 მა ველარ მოუთმინა, გავარდა ეზოში და თვალის დასამხა-
 მებამდე უშველებელ ბაღის კენწეროში მოექცა. გაძდა-გაი-
 ეგვა, რაც ქალაქში დაჰკლებოდა, ახლა ერთიანათ შეისრულა
 და ჯავრი ამოიუარა; შემდეგ ნელა-ნელა ძირს ჩამოეშვა. მე-
 ორე დღეს დაქანცულ სანდროს ცოტა გვიან გამოედვიმა.
 ადგა თუ არა და ჰირი დაიბანა, მაშინვე საუსმეს მივარ-
 და, შემდეგ წაიღო გპელი კედის ძაფი, კალმის დანა და



გასწია ბლებისაკენ. ერთი სხათის განმავლობაში ათი მს-
 სე კასწანწკლა.

ოღონდ ჩიტი დამჯდარიყო, და მეტი არ უნდოდა:
 „სსლექტ“... და ორივე ფეხებით შიგ მოჭეუებოდა. მერე
 ზედ სულ სსვილ-სსვილი ბლები გააკეთა და იმ გვარ
 ალაგას დაგო, რომ ეოველის მსრიდან კარგათ მოჩანდა.
 ემძაკა! — თვითონ აიენიდან უთვალ-თვალეებდა, როდის
 იქნეს, ისსლექტის *) სმა გავიგონოვო. აკერ შაშვები მო-
 ფრინდენ; საწულებს ბარტეებისათვის საკენკი უნდათ და
 ის კი არ იცინან, თუ რა უბედურება მოელით. სანდრომ
 სული განაბა... გაიარა ჰატარა ხანმა... ერთბაშათ
 „სსლექტ“ ერთი, „სსლექტ“ მეორე... შაშვებმა იფრთხიალეს
 და გაფრინდენ. თავკუდ მოსლექწილი სანდრო ქვეითკენ
 დაეშვა და მასეებში ორი უშველებელი შაშვი დაინახა.
 სცოდავები, რა რიგათ ცდილობდენ თავის განთავისუფ-
 ლებას! — „ვერა შენ! ველარ წამისვალთ! რა გინდათ აბა,
 ჩვენ ბლებს რომ ჭამთ! ეგეც თქვენ, ასია. აცათ! სოგიც
 აწი შეჭამეთ!“ მიუგო სანდრომ, ავარდა ბლებსე,
 გამოსსნა შაშვები, წასწუვიტა სელათ ორივეს თავი, მო-
 მართა ისეე ჰასეები და უთავო შაშვები კონწიალ-კონწია-
 ლით შინ წამოიღო. საწულებს, უეჭველია, ტეეში ბარ-
 ტეები ეეოლებოდათ; ახლა ისინი დაობდდენ და შიში-

*) ისსლექტი მანის ნაწილია, რომელიც ძაფსა სწევს.

დით უნდა დაიხოცონ, მაგრამ სანდროს ისინი არ ეცოდება და მათი ჯავრი არა აქვს.

— შეილო, რათ გინდა, მაკ შაშვეებს რომ იჭერ? დაუძახა დედამ:— ნაკრუსალი არიან და გამხდრები იქნებიან. მერე ახლბ შვილები ჭეხუთ და მაკათი დახოცვა ცოდება. ბარტყები რომ შიმშილით დაიხოცებიან, არ გეცოდება? შენ რომ დედა მოგიკლას ვინმემ, გაგეხარდება?

— განა მე და შაშვის ბარტყები ერთი ვართ? უბახუსეა სანდრომ: მე ტირილს დავიწეებ, ვიწუხებ, ვიჯავრებ და ჩიტმა კი ტირილისა და წუხილისა რა იცის? თუ დაიხოცებიან, დაიხოცონ რა! ჩემ ჭირს.

— ტირილიც იცის, შეილო და წუხილიც, როგორ არ იცის...

სანდროს არ ჯეროდა, რომ სიუვარულისა და მწუხარებისა ჩიტებსაც გაეგებათ რამე და მათ შეუბრალებლათ ხოცდა. სანამ ბალი მოილეოდა, ოცზე მეტი შაშვი დაიჭირა და ჰატარა ჩიტებს ხომ რიცხვი არა ჭქონდათ! ბლობა გათავდა; ანწლი კი ჯერ არ დამწიფებულიყო, რომ მახეები დაეგო, ახლბ ჩვენმა ცელქმა ბუდეების ძებნას მიჰყო ხელი. მთელი დღე ჭინკასავით ტყეში დაძვრებოდა და ჩიტის ბუდეებს ეძებდა; მოიუვანდა სახლში საცოდავ ბარტყებს და ათამაშებდა. ერთობ შეუბრალებელი იყო და ამ კუპარის მოქმედებისათვის კიდევ დასაჯა დმერთმა.

შენიერი დილა იყო. სანდროს ადრე გამოეღვიძა; წა-



მოხატა თუ არა ლოგინიდან, მაშინვე ჩვეულებრივად საუს-
მეს მივარდა და შემდეგ ტეისკენ გასწია. დიდი ხანი ია-
რა, მაგრამ დასეთ მის უიღბლობას, ვერც ერთ ბუდე
ვერ მიაგნო. ერთი შაშვის ბუდე ჰქონდა დასწავლილი,
მივიდა, მაგრამ აკი დედა-შაშვის მოესწრო და გადაესხა!
ცხელი დღე იყო და სანდრო ძალიან დაიღალა. დასიც-
ხულ სასესე. ოფლი წურწურით ჩამოდიოდა. სანდრომ
მინდორს მიაშურა, სადაც უშველებელი ნიკვზის (კაკლის)
ხეები იდგა; მათ ჩრდილ ქვეშ შეენიერი მოლი ბიბინებდა.
სანდრო მაშინვე ერთ კაკალ ქვეშ გაწვა და ჰატარა ფი-
ნისაზვით კოტრიალი დაიწყო. ძალე ჩიტების ჭიკჭიკი ჩა-
მოესმა; დაიწყო კაკლის ტოტებში უურება, იქნება ბუდე
დავინახოვო. ბევრი უკირკიტა, მაგრამ ვერა დანახარა.
— „რომ კიდევ იყოს რაზე, მანც ვერ ავალო“, ინუგეშა
სანდრომ თავი, მელისა და ეურძნის არ იყოს. — „რა შეი-
ლი ვერ ავალ, — დაუმატა თვითონვე ჰატარა ხანს შემდეგ:
— ბუდე იყოს, თვარა თვალის დასამხამებამდე კენწეროში მო-
ვექცევიო“. — ამ გვარ ფიქრებში დაქანცული სანდრო კაკ-
ლის გრილი სიოს ნანინამ კიდევ ჩააძინა. ის კი არ
იცოდა ცელქმა, ძილში რა მოელოდა. ხვრინავს სანდრო
კულ აღმა... ვინ იცის რამდენს ხანს იძინებდა, რომ კა-
კლის წვეროსე უშველებელი ევაგას ბუდე არ დაენახა. —
„ოჰო, შენი ჭირიძე, იფიქრა სანდრომ: ევაგის ბუდე არაო-
დეს არ მინახავს! დასე, დასე, რა რიგათ გადმოიუურებიან



ბარსლემბეც! „წამოხტა სანდრო და მაშინვე კაკაღზე აცოც-
 და, მაგრამ ტოტსე კანგლა აღარ გინდა? წვრილია და
 ხელის მოსაკიდებელი არსათ არა აქვს. სანდრო ჰატარბ
 ხანს შეხერდა, მაგრამ ვეჯვის ბარტყები რომ დაინახა,
 ეოველისფერი დახვიწედა და გაცოცდა ტოტსე. მიცოცავს
 სანდრო, მიცოცავს და თან ეძინია, წვრილი ტოტი არ
 მომიტყდესო; ეს-ეს არის, ბუდეს მიუხალოვდა; აი კიდევ
 ჩაუო ხელი შიგ, — უეცრათ დედალ-მამალი ვეჯვები
 გაჩნდენ და სანდროს თავს „ვეჯ“ დასჩხავლეს. სანდ-
 რო ერთბაშათ შეკრთა, გაუსხლტა ხელები, ტევიანავით
 ძირს წამოვიდა და მ.წაზე ქექვა გახდა... ველარ ინძრე-
 ვა, ხმას ველარ იღებს. მოკვდიო, ფიქრობს სანდრო;
 უნდა წამოდგეს, მაგრამ ველარ დგება; ვინ იცის, რამდენს
 ხანს იქნებოდა ასე, რომ ამ დროს ვიღაც ორი ფრთია-
 ნი და თეთრ ტანისამოსიანი ადამიანები არ მოსულიყ-
 ვენ. — ეს ხომ ანგელოზები არიან, აქ რა უნდათ? ჰფიქ-
 რობს განცვიფრებული სანდრო. მათ ხმა ამოუღებლათ
 დასტაცეს სანდროს ხელი და ცისკენ გააქანეს. უწუსს
 სანდროს გული, უნდა ითხოვოს, თქვენი ღვთის გულისა-
 თვის გამიშვიოთ, მაგრამ ხმას ველარ იღებს.

— ნეტავი, ორი ძაშვის ბუდე რომ ვიცოდი, ის ძა-
 ინც არ დაძრწენოდა, და მერე ამ წვეულებს, საცა უნდა,
 იქ წავეყვანეთ. — ფიქრობს სანდრო თავის გულში. ამ
 დროს სანდრომ უშველებელი თვალ-გადუწვდენელი ბაღი



დაინახა... რას ინატრი სულა და გულა, რომ შიგ არ
 ეოფილიუოს: წითელი ვაძლები, ჩამოეფითლებული მსსლე-
 ბი, ატამი, ეურბენი... ვინ ჩამოთფლის... სანდროს ჰირში
 ნერწევი მოუვიდა. ანგელოსებმა სანდრო ბადთან მიიყუა-
 ნეს და გაუშვეს. სანდრომ მაშინვე ბაღში გადასვლა
 მოინდომა, მაგრამ კარებთან ვიღაც მოხუცი იდგა; წვე-
 რები სასამსავით ჩამოგრძელებოდა. — „ეს უთუოთ მებაღე
 იქნება და არ შემიშვებსო“, იფიქრა სანდრომ; სსვა შე-
 სავალდი კი არ იყო. ბევრი ურბინა სანდრომ ბაღს კარ-
 შემო, ეპოტინა კედელს, მაგრამ ვერ გადავიდა. დაბრუნდა
 ისევ უკან: — „მეტი გზა არ არის, ისევ კარებში უნდა
 შევიპარო როგორმეო“. მოხუცი სადღაც იუერებოდა;
 სანდრო უკან მიეპარა, მივიდა, მივიდა; მოხუცმა ვერ შე-
 აძინია... ღმერთო შენს მადლს!.. აი ცალი ფესი კიდევ
 გადადგა კარებში, მაგრამ ამ დროს აკი სტაცეს ხელი!

— მოიცა, მანდ შენი ალაკი არ არისო, — გადმოუბრია-
 ლა მოხუცმა თვალები.

— „ამ წვეულმა რა ცუდ დროს მომასწრო, იფიქ-
 რა სანდრომ: ცოტა კიდევ, და. ახლა მსსლის კენწეროში
 ვიქნებოდი და თუ ბიჭი იყავი, ზოგი მაშინ დაძიჭერდიო.

— მე ზეტრე მოციქული ვარ, განაგრძო მოხუცმა:
 ეს კიდევ სამოთხის ბაღია...

სანდრომ ჰირი დააღო. თვალები დააჭეიტა...

— „რადგანაც შენ ქვეყანაზე ჩიტებს შეუბრალებლათ



აწვალედი, ახლა შენ უნდა გამოსცადო იგივე, რაც დღე
 ჩიტებს დაუენე, და, როდესაც დარწმუნდები რომ სიუბა-
 რული და მწუსარება მათაც იციან და ცოდვანი არიან,
 მაშინ შეგიძვებ ამ ბაღში“; ამ სიტყვებსე მოხუცმა სანდ-
 როს სული შეუბერა, მესკიათ გადააქცია და ქვემოთ გა-
 მოისტუმრა. დაეშვა ჩვენი სანდრო-მესკია ქვეითკენ, მაგ-
 რამ დახეთ მის უბედურებას: უშველებელმა ძერამ საიდან-
 დაც თვალი მოჭკრა და უკან დაედევნა... მესკიას გული
 გაუსკდა; ეს-ეს არის ძერა დაქწია კიდევ, აკერ ნისკარტს
 სტაცებს, შუახე გაგლეჯს; მშვიდობით საუვარელო დედილო!
 აკი ამის იღბლათ ამ დროს ძერცხლები და უვაგები განჩ-
 დენ და ძერას დაედევნენ; ძერა მათმა მოკერებამ შეახერა,
 მესკიამ კი ამასობაში თავს უშველა: დღეში ერთ ჰატა-
 რა ჩირგვს თვალი მოჭკრა, გაექანა და შიგ შეძვრა. რო-
 გორც იქნა გული მოიბრუნა და შემდეგ იქიდან გამო-
 ფრინდა. ჯერ თავის სახლის მონახვა მოინდომა, ბევრი
 ეძება, მაგრამ ვეღარ ეპოვა; ან, კიდევ რომ მიეგნო, ვინ
 შეუძვებდა, ვინ დაუჯერებდა, რომ ის სანდრო იყო? ჩვე-
 ნი მესკია რამდენსამე ხანს მარტო იყო; დღე ქორისა ემი-
 ნოდა, დამეც არ ჰქონდა მოსვენება. საკენკი რომ დაენა-
 ხა, შიშით ვერ მივიდოდა, ვაი თუ მახე იყოს დამალუ-
 ლი და შიგ გაგებო. ბოლოს მარტო ეოფნა მოწეინდა;
 იშოვა ამხანაგი, გააკეთა ბუდე და ძაღვ ბარტყებიც გა-
 მოჩივა, ახლა კი ჩვენი მესკია გამხიარულდა: შვილებს

ეალერსება, საკენკს უსიდავს და თავის თავს ბედნიერთათ-
 თვლის. ბარტყები ძაღუ იზრდებიან; სამ ჯღეს შემდეგ
 ფრენასაც შეიძლებენ... ჩვენი მესკია საკენკის საშოვნე-
 ლათ მიფრინავს. აკერ შეენიერი მავებლი დაინახა, გაე-
 ქანა ზირდაჰირ, დაჯდა კენწეროზე და მავებლს წიწვნა-
 დაუწყო; ერთბაშათ „სსლეტ“ დაიძახა რაღაცამ. მესკიას
 გული გადმოუტრიალდა, როდესაც გონს მოვიდა, დაინა-
 ხა რომ თავდაუირა ეკიდა და ფესებში თითქოს რაღაც
 უჭერდა. მესკიამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გამო-
 იწია და მიწაზე ჰერტვა გაადინა: თურმე მასეში გაება;
 იბღლათ ბოლო და ფესის ფრჩხილები მოჭეოლოდა
 შიკ, როცა გამოიწია, ფრჩხილები გამოაძრო და
 ბოლო კი მასეში შერჩა. ბოლოს ვინ-ღა წუსს, რახან
 თვითონ ცოცხალი გადარჩა; ფესები რომ მოჭეოლოდა
 შიკ, მასინ თითონაც დაიდუჰებოდა და შვილებიც დაესო-
 ცებოდა. ამას შემდეგ ჩვენი მესკია ძალიან გაფრთხილდა.
 გაღასწევიტა მეორე ღღეს შვილები ბუდიდან გადმოფრი-
 ნა; სინარულით ცასა სწვდებოდა... მოფრინავს, ჰირში
 უშველებელი კალია უჭირავს და თან ფიქრობს; როგო-
 რის სინარულითა და ჭელოჰინით მიეკებებიან შვილები.
 აი მოფრინდა, მაგრამ მისთანა თქვენ მტერს, რაც იმის-
 მა თვალემა ნახეს: ბუდე გადმონგრეული დაუსება, შვი-
 ლები კი აღარსად იყვენ; აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ
 ვეღარსათ ვეღარ ნახა; კონება დაებნა, მორთო საშინელი



ჩხავილი და ტირილი; ერთბაშათ საცოდავი წრიზინი შემოესმა; მესკია გიჟივით გაექანა იქითკენ და, მესი რომ დასცემოდა, ის ერჩია: მისი შეილებისათვის ვილაც ემაწვილს ფრთები დაეკლიჯა და ხან ერთს აბუროთავებდა ჰვარში, ხან მეორეს; ერთისათვის ზავიც წაეკლიჯა. საწუალმა მესკიამ დაიწყო ემაწვილის გარშემო კრიანსი და ფრთხიალი; ჯახურისაგან თვალთ ველარსს სედავდა, აღარ იცოდა, რასა შერებოდა; ამ დროს თავში რაღაც მოხვდა, ერთი შესწხავლა; და თვალეხ დაჭეუტილი სანდრო კი სასტათ დარჩა: სიდან ჩამოვარდნილი კაკალი შუბლზე დაეცა და იმან გამოადვიმა, თორემ ვინ იცის, როდის კათავდებოდა მისი ახირებული სიხმარი. საბრალოს შუბლზე სიმწრის ოფლი ესხა, მთელი სხეული უცახცახებდა; აქეთ-იქით დაფეთებულსავით ისედებოდა და თვალეხს იფშენებდა, მართლა სიდან ხომ არ ჩამოვარდი და არ მოვკვდი, ან შესკიათ ხომ არ ვიქეციო; როდესაც დარწმუნდა, რომ ცოცხალი იყო და არც შესკიათ გადაქცეულიყო, კურდღელსავით შინისკენ მოუსვია.

— ბიჭო, სად იყავი ამდენი ხანი, შე ნადირო, შენა! სულ ტყე-ტყე უნდა ირბინო?! მიაძახა დედამ შინ მოსვლისათანავე: ერთი უეურეთ, თვალეხი როგორ დასიყუბია! შენ სწორეთ გძინებია! ბიჭო, ტყეში მილი ვაგიკონია? უნავსმა რომ დაგკბინოს, რაღას იზამ მერე?


სანდრო ბევრს ფიცულობდა, არა, არ მძინებიაო.

მაგრამ დასივებული თვალები ამტყუნებდენ, ბოლოს გა-
მოტყდა მეძინათ და თავის საშინელ სიზმარს დედას მო-
უუვა.

დედამ ბევრი იცინა და ნიშნი მოუკო:

— რომ აწვალებდი ჩიტებს და ჩემი არა გჯეროდარა,
მაშ რა გეკონა! საწუალ ჩიტებს აღარც ახლა დანებებ
თავს!

— ახლა უბრალოთ აღარ ვაწვალებო,— ეფიცებოდა
სანდრო. მართლაც ამას შემდეგ სანდრო სრულიათ გა-
მოიცვალა; ჩიტების წვალებას თავი დანება და ახლა
ზირველი მათი მეგობარი და მუარველი კანდა. მათ აი-
ვანში მერცხლებმა ძაღუ ბარტყები გამოჩიკეს; სანდრო
ჭია-ღუების იჭერდა, ბარტყებს აჭმევდა და ამით დიდ სი-
მოუნებას გრძნობდა. ენკენისთვე დადგა. სანდრო ისევ ქა-
ლაქს წაიყვანეს, სასწავლებელში. სანდრომ თავის სი-
ზმარი ამხანაგებსაც უამბო და უველა ბევრი იცინა.
ამხანაგებმა ამას შემდეგ გადასწვიტეს, სანდროსათვის
„მესკია“ დაერქმიათ და მართლაც იმ დღიდან დაწვებული
სანდროს სახელის მაგიერათ „მესკია“-ს უძახდენ. რო-
დესაც სანდრო „მესკია“-ს გაიგონებდა სოღმე, თვალ-
წინ ეოველთვის თავისი საშინელი და ახირებული სი-
მარი ეჩატებოდა.



გრძელი ამბავი მოკლეთ ნათქვამი

(თარგმანი)

ორეულ აღმოსავლეთში ცხოვრებდა ერთი მეფე, რომელიც, ღიღი მოყვარული იყო გრძელი და გარკათ მოთხრობილი ამბებისა. ამ სასიამოვნო თავ გასართობს იგი ანდომებდა მთელ თავის დროს და კიდევ არ კმაყოფილდებოდა. ნაზირ-

ვეზირნი, თუძცა ბევრსა ცდილობდენ მეფე ამგვარი ამბებით გაერთოთ, მაგრამ ვერ ახერხებდენ, საამბო მასალა სძირათ შემთავლებოდათ სოღმე. მეფე ყოველთვის ცდილობდა, რომ თავის სამეფოში ეპოვა ისეთი ზირი, რომელსაც შესძლებოდა საუურადღებო და გაუთავებელი ამბის ზოთხრობა. ამისათვის მეფემ გამოაცხადა საყოველთაოთ: ჩემს ქალს მივათხოვებ და შემკვიდრეთაც დავსვამ იმ კაცს, ვინც კი გაუთავებელ და საუურადღებო ამბავს მომიტხრობსო.

მართალია, ვინც ამ ზირობას ვერ შეასრულებდა და მეფეს იმედებს გაუცრუებდა, იგი სიცოცხლეს უნდა გამოსაღებოდა, მაგრამ ბევრნი ამას არ უშინდებოდენ. მეფის ავლა-დიდების და ქალის მოტრფიალენი ერთი მეო-

რეს ეჯიბრებოდენ, უამბობდენ სოლიჲ მეფეს არა ჩვეულებრივ გრძელ ამბებს, ზოგნი მთელი კვირბობით, ზოგნი თვეობით და ზოგნი ნახევარ-ნახევარ წლობით, მაგრამ სასურველ ბოლოს ვერც ერთმა ვერ მიხდწია.

ბოლოს, მეფესთან მივიდა ერთი კაცი, რომელიც გაუთავებელი ამბის ცოდნას კვესულობდა. მეფემ ჩვეულებრივ გააფრთხილა, სათითაოთ ჩამოუთვალა იმ პირთა სახელები, რომლებმაც ვერ აღასრულეს თავიანთი პირობები და სამუდამოთ სიცოცხლეს გამოჟსალმენ, მაგრამ თავმოძვონე გმირი თავისას მანც არ იშლიდა. გამოთხოვა მან თუ არა მეფეს სასმელისა, საჭმელისა და ძილისათვის საჭირო თავისუფალი დრო, ასე დაიწყო თავისი გაუთავებელი ამბავი:

„მოძისძინე დიდებულო მეფეო! იყო ძველ დროში ერთი ფრიად სასტიკი და თვალ-ნარბი მეფე. ერთხელ მეფემ კანცა ბრძანება შეეკროვებინათ სამეფოს მკვიდრთა მთელი ჰურის მოსაჯელი, კანცებ ამ მიწისსათვის აშენებულ ვეებერთელა ბედელში, რათა შემდეგ მომეტებული საფასურით მიეუიღნა ხალხისათვის“.

„როცა ეს ვეებერთელა ბედელი ხორბლით თავამდის ზავსეს, მეფემ უბრძანა კარები და სარკმელები მაგრათ ჩაეკეტათ“.

„სუროებს ბედლის შესავალ კარებთან ზატარა ნახვრეტი დარჩენიდათ. აი, საიდანღაც გამოჩნდა მთელი გროვა თავგებისა, რომელნიც ბედელში შემრომას ერთი-მეორეს



ეჭიბურებოდენ. მაგრამ ნასწრეტი იმოდენათ ზატარა იყო, რომ მსოფლიო ერთათ-ერთ თაკვს შეეძლო შიგ შეძრომა. აი, კიდევაც შეძვრა ერთი თაკვი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი, შემდეგ შეძვრა მეორე თაკვი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი, ამის შემდეგ შეძვრა მესამე თაკვი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი, ამას შემდეგ კიდევ შეძვრა თაკვი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი, ამას შემდეგ კიდევ შეძვრა თაკვი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი, ამას შემდეგ კიდევ შეძვრა თაკვი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი“...

ამ რიგათ და ამ სიტყვებით მოუთხრობდა იგი მეფეს თავის გაუთავებელ ამბავს მთელი დღის, კვირის და თვის განმავლობაში. მეფეს მოთმინების ძარღვები აწყდებოდა ამოდენი თაკვების „კიდევ შეძვრა და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვალი“-ს მოსმენით.

მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ ბრძან-მორეუულმა შეჰქვირა:—თავი მომაბესრეს ამ შენმა სასიხლარმა თაკვებმა! წარმოვიდგინოთ, რომ მათ გამოაცოცხეს იმდენი მარცვალი, რამდენიც საჭირო იყო. განაგრძე, შემდეგში რა მოხდა.

— მომიტყევეთ, თქვენო დიდებულეებავ, — მოახსენა გაუთავებელი ამბის მთხრობელმა: — შეუძლებელია მოკითხვით, რა მოხდა შემდეგ, ვინემ მე არ გიამბობთ, თუ რა მოხდა უძალ, და ამასთანავე განაგრძო: შემდეგ კიდევ შეძვრა

თავი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვლი, შემდეგ კიდევ შემკრა თავი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვლი...

მეფემ მთელი ექვსი თვე ისმინა ერთი და იგივე სიტყვებით: „შემდეგ კიდევ შემკრა თავი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვლი“ და ბოლოს სიბრძნით გამსეცებულმა შეჭყვირა: როდისღა მორჩები ამ შენს სასიზღარ თავებს?..

— დიდებულო მეფეო, — დამშვიდებით უპასუხა მან, — ამის გამოცნობა ძრეელ სამხელობა. აქამომდე თავგებმა ბეგლის სულ მცირეოდენი კუნჭული დააცალიერეს. თავგები, როგორც სედავთ, თან და თან ემატებიან. თუ მოთმინებას იქონიებთ, თქვენო დიდებულებავ, ასე თუ ისე ბოლოს ჩვენ დავძლევეთ თავგებს და განაგრძო: „შემდეგ კიდევ შემკრა თავი და გამოაცოცხა რამდენიმე მარცვლი... შემდეგ...“

— „კმარა, ილაჯწალებულმა მეფემ შეასწევებინა სიტყვა: დაჩუმიდი; მომიცია ჩემი ქალი, ჩემი სამეფო, მომიცია ვეფლბეგრი, რასაც კი მთხოვ; ოღონდ შენ სასიზღარ თავგებსე ნურას ვამაგონებ!..“

— „სერსი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო“ თქვა თავის ჩაქნევით მეფის სასიბომ და ქორწილის თადარიგს შეუდგა.

მოსივსივა მინდვრები.



რთ მდინარის ნაპირას ჰოლანდიაში მდებარეობს ერთი ისეთი ლამაზი სოფელი, რომელიც კაცს თვალს მოსტაცებს. ამ სოფლიდან ჩრდილოეთის მხარეს მოჩანს ზღვა და უშველვებელი მინდვრები, რომელნიც დასერილია ათას ნაირ თხრილებით. ეს მინდვრები გევონებათ მწვანე ხავერდით მოუფენიათ.

სოფლის ერთათ-ერთი დიდი ქუჩა სისუფთავით იშვიათ რამეს წარმოადგენდა, დაფენილი იყო პტყელი შავი და თეთრი ქვით. შენობები აკრელებული იყო სხვა-

და-სხვა ფრათ: ცისფრათ, ყვითლათ, სოსნათ და სხვა...

კნიპერის ოჯახს, რომელზედაც აქ მოგიტხრობთ ჰქონდა სახლი შემკული პირისფერი სახურავით და მწვანე ფანჯრებით და სწორეთ ყვავილების თაიგულს მიეგვანებოდა. ყოველ დღე, როგორც ქუჩას, ისე სახლებს ბეჯითათ რეცხავენ, ნატამაჲ მტყერს ადამიანი ვერა ნახადა.

კნიპერის ოჯახი რომ მოუსხდებოდა საღილ-ვახშამს დიდათ მზიარულობდა; უფროსი ვაჟი-შვილი თორმეტე წლისა იყო და უნცროსი კი თორმეტი თვისა. პატარა ქალი-შვილი იქნებოდა ექვსი წლისა. იმისთანა წყნარი, მოსიყვარულე და მორჩილი ყმაწვილი, როგორიც იყო პატარა აღისა მთელ იქაურ არე მარეზე არ მოიპოვებოდა. დედ-მამა ისე ენდობოდა, რომ ზოგჯერ მას ჩააბარებდა ხოლმე პატარა ძმას, განსს.



ცოლ-ქმარი კნიპერები ფეიქრები იყვენ და როგორც რომელიმე
ზომა მოიწყეს მათ სანატრელათ გაუხდათ შეეძინათ ერთი-ორი
ძროხა მანც; მაგრამ ჯერ უნდა საძოვარი ადგილი ეშოვათ. თავი-
სი საწადელი მალე აისრულეს, იყიდეს ერთი ქაობი, რომელიც მა-
ლე ნაყოფიერ და წყალზე მოტივტივე მინდვრათ აქციეს და შემდეგ
თითონ კნიპერი გაემგზავრა ორა ძროხის საყიდლათ.

სწორეთ ყურადღების ღირსა და შესანიშნავია ჰოლანდიაში ეს
მოტივტივე მინდვრები! გამბედავი ჰოლანდია არ კმაყოფილდება იმი-
თი, რომ ზღვას ხმარობს ისე, როგორც ესაქიროება, ქაობებითაც
სარგებლობს, რომელიც ისე ბევრია ამ მხარეში.

ყოველ ზაფხულობით ქაობებში აქოლის სხვა-და-სხვა შესანიშ-
ნავი ყვავილები, შემოდგომაზე ყვავილება ჭკნებიან და გუბებზე
ტივტივებენ, ამ დაჰქნარ ყვავილებს ემატება ხოლმე კადეე გვე-
ლილ ზაფხულის დაჰქნარი ყვავილები, ასე რომ ქაობის ნიადაგი
უცნაურათ თან-და თან ნაყოფიერება, მაგრდება და არა თუ ცხვრე-
ბის საძოვრ თ გამოადება ხოლმე, ძროხებიც გაჰყავთ ამ მოტივტი-
ვე მინდორში, მაგრამ ეს ქაობები თუ საბელით და მარგილებით არ
ყოფილიყო შემაკრებული კარდებზე ნიაღვრებს და წვიმებს ვერ გა-
უძლებდა და წაილეკებოდა.

კნიპერის ოჯახი დადი სიხარულით მოელოდა იმ ბედნიერ
დღეს, როდესაც ძროხებს იყიდდა და გაგზავნიდა საბალახოთ ახლათ
განაყოფიერებულ მოტივტივე მინდორზე. კნიპერი რომ მიდიოდა
ძროხების საყიდლათ პირაბა ჩამოართვა ცოლ-შვილს, რომ გზაში
დახვედროდენ, კნიპერის ცოლმაც გაათავა თუ არა საოჯახო საქმე
აიყვანა ხელში თავისი უნცროსი ბუთხუზა შვილი, გაიძლოლა წინ
თავისი პატარა ალისა და გასწია მინდვრისკენ.



დიდი ბედნიერი იყო ეს დედაკაცი, ჯაჯამ და მუშაობამ უბრალოთ არ ჩაუარა, დიდი ხნის იმედი დღეს უსრულდებოდა, თავის საწადელს მიახწია. ალისაც დედაზე ნაკლებ არ იყო მხიარული, თავწაკრული, დედის კალთაში ჩაქიდებული, კაბის ფრიალით, ცუნცუნლით მისდევდა დედას. ყაყაოსავით წითელი წინ-საფარი ჰქონდა. ჩრდილოეთიდან ნიაფი მოჰქროდა და ქარის ყველა წისქვილებს აბრუნებდა, — რაც დაგუბებული წყლები იყო მორევში სულ ამას უნდებოდა. პატარა განსი სიხარულით აღარ იყო ამას რომ ხედავდა; ტაშს უკრავდა და ეგონა, რომ ამის გასართობათ ტრიალებდნენ ეს ბორბლები.

სოფლის ხის ხიდი გადებული იყო მიწდორსა და კორდებს შუა დედა-შვილის უნდა გაეელო ეს ხიდი.

ერთბაშათ ნიაფი ქარიშხლათ იქცა. მინდვრები ისე ლელავდნენ, თითქოს გემი ირწყევაო. ცა მოიღუშა, დიდ აედარს აპირებდა.

— გავიაროთ ჩქარა ხედა, თქვა დედამ. ვაჟი გულზე მიიკრა, პატარა ქალს ხელი მოჰკიდა და შედგა ხილზე.

დახე უბედურებას! საბელი გაწყდა და ფიცრის ხიდი დაიშალა, როგორც ტიფი უორთაყვიროთ, ისე მინდვრები მოსწყდა კორდებს. შეუძლებელი იყო ამ დედაკაცისთვის, მეტადრე როდესაც ხელში ორი ყმაწვილი ჰყავდა, გადამხტარიყო იქით, საცა კორდები იყო. ვერც გაბედავდა ასე დატვირთულს რომ შეეტოვნა მორევში, შესაძლო იყო შიგ ჩაფლულიყო.

— რაღა ექნა! ღმერთო ჩემო, რა მეშველება! ჩიოდა საბრალო დედა. მერე დაიწყო ძახილი:

— მიშველეთ, დამხსენით, ეინა ხართ ქრისტიანები!

რა უბედურებაა! მისი ძახილი არავის ესმოდა. მაგრამ ეს ისეთი დედაკაცი არ იყო, რომ ჰკუთ დაჰუნტოდა, ან ცუდ უბრალოთ ჩივილს მოჰყოლოდა. დაიხარა თავის პატარა ალისასკენ და უთხრა:

— დაჯექ ამ ლერწმებში. მოისევი გვერდით ეს შენი პატარა ძმა. რაც უნდა მოხდეს არ დაიძრა ამ ადგილიდან, სანამ მე არ მო-



ვიდე. არამც და არამც განსი არ მოიშორა გვერდიდან. ჩემო საყვარელო გოგონავ, მომე სიტყვა, რომ არ დაძვრი ადგილიდან ჩემ მისვლაშიდის.

— კარგი, დედა! მოსვენებით იკავ, მოგიცდა. — უთხრა ალასამ, მხოლოდ გეხვეწები მალე მოდი.

კნიპერის ცოლი მარდათ ჩახტა მორევში და დიდი გაჭირებით ვაკიდა მეორე ნაპირას.

ცაზე ელვამ გაჰკრა.

— ღმერთო ჩემო, დაიხსენ ჩემი შეილები განსაცდელისაგან! შეევედრა მხურვალეთ ქალი ღმერთს და წუმპეში ამოწუწული გაიქცა სოფელში ხალხის დასაძახებლათ — საშველათ, მეზობლებმა მაშინვე თავი მოიკარეს, სწრაფლ წამოიღეს რაც საჭირო იყო და გამოსწიეს.

ელვამ მოუხშირა, ცას თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა, ქუხდა, საბრალო დედა გაჩქარებული მიზბოდა შეილებისკენ, სულს ძლავს იბრუნებდა და წამდაუწუმ იძახოდა: ღმერთო დაიხსენ ჩემი შეილებიო!

მხოლოდ ამით იქარწყლებდა თავის ნალევს.

საბრალო დედა იმ მორევთან ყველაზე ადრე მივიდა. დაუწყო შეილებს ძახილი, ცდილობდა წვიმის ბურში გაერჩია, ერთბაშით დიდმა სინათლემ თვალები დაუბნელა, საშინელმა ქექა-ქუხილმა შიშით ააქანკალა. მენი ჩამოვარდნილიყო სწორეთ იმ ადგილს, სადაც ამას დაეტოვებინა თავისი საბრალო შეილება. მეზობლებმა დროზე მოუწარეს გამწარებულ დედაკაცს და შეიკავეს; იმას ნალელით აღარა გაეგებოდა-რა და გაუფრთხილებლათ შავ ქაობში ჩავარდნილიყო.

— რას ჩადიხართ, ქალო! თავს რაზე იღუპავთ! ჩვენ, ყველა, განა საშველათ არ მოვსულვართ! ეუბნებოდენ მეზობლები.

ცოცხალ-მკვდარი დედაკაცი გამოაწრეს ნაპირას. მოვიდა თუ

არა ცოტათი მაინც გონზე თავის მხნელებს წინ მიწაზე დაწვინდა და ემუღარებოდა:

— მიპოვეთ ჩემი შვილები!.. სად არის ჩემი ქალი!.. ჩემი პატარა განსი!.. შემობრალეთ, მეზობლებო, მიპოვეთ, მომგვარეთ...

წვიმამ უცბათ გადილო, მზე ამოვიდა, ცისარტყელა შეენიერთადა დაიჭიმა ამ განადგურებულ არე მარეს თავზე, მაგრამ აქ ვერცინ იტყოდა: „აი, იმედი მოგვეცაო“, რადგან ყველანი შიშით ზარ-დაცემულნი იყვნენ.

ამ დროს მოესწროთ თითონ კნიპერიც, ამას უკვე ეყიდა ორი შეენიერი ძროხა, მაგრამ ეს დღე სულაც არ მიეგვანებოდა იმ დღეს, რომელსაც ასე დიდხანს მოელოდა კნიპერის ოჯახობა.

უბედურმა მამამ გაიგო თუ არა რაშიაც იყო საქმე, მაშინვე გაექანა მინდორში, არ მოუცადა მეზობლებს, რომ მათ გაეკეთებინათ გადასასვლელი, ერთი გრძელი კოგრი აიღო ხელში და დიდი ნახტომით გადახტა—მეორე ნაპირას და გაემართა იქით მხარეს, სადაც დიდძალი ლერწმები იყო, მაგრამ დახე უბედურებას! გზაზე უშველებელი მორევი დაუხვდა, უფსკრულმა შეაჩერა...

— ღმერთო ჩემო, რაღა მეშველება! იქნება ამ უფსკრულში ჩაფარდენ ჩემი ბავშვები. სად არის ჩემი ალისა! ჩემი საყვარელი გოგონა! და ნაღვლით გაგიჟებულმა დაიჩოქა უფსკრულის პირზე, როგორც საფლავის წინ და დაუწყო ძახილი:

— შეილო, შეილო, ჩემო შეილო!

ამ დროს მოესმა ნაცნობი ხმა: მამაჯან აქა ვარ!

კნიპერი შიშით და თან იმედით ცაბცახებდა. მან თავი მაღლა ააღო...

რაღაც წითელი ნაჭრიდან, წუნწკლები ჩამოდიოდა და ეს ხმა იქიდან მოისმოდა. საცოდავთ მიმალულიყვენ ბავშვები წვიმით დასველებულ ბალახებში.

საბჭალო კაცს სიზარულით ღონე გამოეცაოა, სანამ ღმერთს მადლობა არ შესწირა ფეხზე არ წამოდგა. ამას მაშინვე ცოლის



მწუხარებაც მოაგონდა, მოიკლოჯა თავიდან ქუდი და დაუწყო ქნევა, რა არი შეეტყობინებინა, რომ თივიანთი საუნჯე იპოვეს.

კნიპერს დიდი სიფრთხილე ექირებოდა, ბევრი უნდა მიეღწე-მოეგლო, სანამ თავის შეიღებამდის მიახწედა, რადგან მოტივტივე მინდორი ნიაღვარს სრულიად წაელეკა.

ბოლოს როგორც იყო მივიდა ბავშვებთან, ორივე ცოცხლები და კარგა მყოფები დაუხვდნენ. კეთილათ დაბოლოვდა საქმე.

აღისას დედობრივი მზრუნველობა გამოეჩინა, რომ წვიმას არ დაესეველებინა მისი პატარა ძმა განსი, იგი ჩაესვა კალთაში, მიეფარებინა კაბის მისათარი, და თითონ გადახუროდა ქუდსაებ, რომ წვიმას არ შეეწუხებინა და ისე თურმე არწედა, ეალერსებოდა და დაზუზუნებდა, რომ ბავშვს ტკბილათ ჩასძინებოდა ჭექა-ქუხილში.

—ოჰ! შეილო, მე რომ გიძახოდი, რატომ ხმას არ იღებდი? ჰკითხა მამამ, როდესაც ჭკუა მოიგროვა.

—ხმას როგორ არ ვიღებდი, უპასუხა ბავშვმა, ყოველთვის ვიძახოდი: აქა ვარ, აქა!

კნიპერი მიხვდა, რომ ქარს უსათუოთ ხმა სხვა მხარეს მიჰქონდა

—მამ გესმოდა ჩემი ხმა და კი არ გამოიქეცი? უთხრა გაფითრებულმა მამამ.

—მე დედას სიტყვა მივეც, რომ სანამ არ მოვიდოდა, ადგილიდან არ დავძრულიყავ.

—ჩემო კარგო, ჩემო დამჯერე შეილო, უთხრა მამამ და გულში ჩაიკრა თავის გოგონა.

მერე კნიპერმა ხელში აიყვანა განსი, აღისას ხელი მოჰკიდა ღ საჩქაროთ გაეშურა თავის ცოლისაკენ, რომელიც ალეღეებული, მოუთმენლათ ელოდა სიკედლისაკან გადარჩენილ შეიღებს.

აღისას ამბავი იმ არე მარეს მოეფინა, ყველას მაგალითათ მოჰყავდა ბავში. იმას რომ არ დაეჯერებინა დედისთვის და წამოუსულიყო, უსათუოთ სადმე მორეეში ჩაეარდებოდა და ბაყაყების სარჩოთ განდებოდა.



ა ტ ლ ს

მატლო, ჩამჯდარსარ სის გულში,
 ღრღნი, ხერსაგ, არა გრცსვენია;
 გარემოება ხელს გიწუობს,
 ბურთ მოედანი შენია...

მაგრამ ამოვა ნიაფი,
 ძირში გადასტეხს მაგ ხესა,
 რაც იმუშავე აქამდის, —
 თვალში შეგაყრის ნახერსსა...

წაგშლის და მოგსწობს ქვეყნათა,
 დილა არ გაკითენდება;
 სის ძირიდან კი ისევე
 ელორტები აღმოცენდება!..

დ. თამაშვილი.



ს ვ ა ვ ი

I

აფხული იყო. მთა მწევანობდა. მაღლა მწვერ-
 ვალებზელა მოჩანდა თოვლი, — დაბლა ხე-
 ვებში ზვავი. მწყემსებს გაერეკათ მთაში სა-
 ზაფხულოთ ცხვარი და ძროხა, მაგრამ ბედს
 ემდუროდენ: კირი გაჩნდა, აუარებელი ცხვარი და ძროხა ილეოდა,
 ილუბებოდა; გატყაყებას ველარ ასწრობდენ; მრავალს წყლის ნაკადუ-
 ლებს სისხლის რუები მიმატებოდათ. ხეებში ზვავებზე, ბინების,
 ფარეხების გარშემო ოხრათ ეყარა მძოვრი. ფრინველთ და ნადირთ
 სანატრელი დრო დაუდგა: ფარფაშობდენ უზარ-მაზარი სეაეები, ყა-
 ჯირები, ორბები, ყვავ-ყორნები; დამაძღრები, ლეშით გათოშილები
 იქვე ახლო-მახლო კლდეებზე სხდებოდენ; ფეხებით, ფრთით თან
 მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდენ კლდის დეკას, *) ქუჩს, ურ-
 ძნიანებს...

II

ერთი გამაძლარი სეავი კლდის თავზე იჯდა; სიმაძღრით ძლიეს-
 ლა ქმინაედა, მაგრამ თვალებს უფრო მამაცათ იტრიალებდა და
 სულ-ხარბათ დასჩერებოდა უფსკრულში ლეშის გროვას.

— ხა, ხა, ხა! თქვა მან სიცილით ბოლოს: — უყურე, აბა, უყუ-
 რე იმ ბრიყვს, იმ საცოდავს, იმ მატლს, იმ ბეჩავს! ნეტავი ერთი

*) დეკა, ქუჩი, ურძნიანა მთის მცენარეებია...

ლუკმა მანც გამომივიდოდეს და მერე ეთქვა ჩემზე აუკი სიტყვა, მერე დავეძრახე. ღმერთმა შემარცხეინოს სასწორზე აგვწონეთ, ძმაო, თუ ორი-ათასი ბუღბუღი არ ავიწონაო. ჰაერში რომ შევინაფარდებ, გავშლი განზე მხრებს ათასი ვერსიღამაც კი დამინახავს ადამიანის თვალი და იმ მლიცს, თუ თავს არ წაადგე, ვერც კი დაინახავ თვალით; მურინაფი არავის უნახავს, თურმე ჯაგებში, ბარდებში ძვრება და რაღაცას ქღურტულებს და ამისათვის აქებენ, ქღურტულებს თურმე მძინარა — თვალზე დახუჭული. ჩემი თვალების ტოლა არც კი არის, რომლებიც არა დროს არ მებუჭება და მუღამ მზათ მიჰიარავს საქმლის და მძოვრისკენ; ის კი ქღურტულებს და ქღურტულებს, საქმელ-სასმელი არც კი აგონდება და თანაც ჩემს წყევლა-კრულვას დასძახის არე-მარეს...

— „ყრანტ, ყრანტ, ყრანტ!“ მოისმოდა. სევისკენ მოსეირნობდა შავი ყორანი. ჯერ გაეთამაშა გამოეთამაშა გულ-ზეიადათ მგდომარე სევეს, ფრთაც გაუტყლაშუნა ფრთაზე, უნდოდა ზეზე წამოეგდო, მაგრამ სიმაძღრით დამძიმებული სევეი, რომ ვერ დასძრა ადგილიდან მის გვერდით, შორი-ახლო დაეშვა, და ჩამოჯდა კლდეზე.

— ყორანავ, ყორანავ! მიუბრუნდა სევეი ყორანს და მედიდურის კილოთი დაუწყაო კითხვა: — როგორაო? რას მიამბობდი იმ დღეს ბუღბუღლზე, ლამაზათ მღეროდაო? ნეტავი მეც ბუღბუღლათ მაქციაო?! უტკუოვ, უტვინოვ!

— ჰო, იმასე გიამბობ რაც მიამბია შენთვის: მისი მღერა არ დამაფიწყდება ჩემს სიცოცხლეში და არ დაიჯერებ, მისი სიმღერის გაგონება აგერ იმ ლეშის გროვასაც კი მიჩიყენია...

— აბა როგორ იყო, როგორ? ეხლა მიამბე, — დაეკითხა კვლავ სევეი.

— შეენიერთ გალობდა, შეენიერთ! რამდენჯერ გავძღარე-ვარ ლეშით, სხვა-და-სხვა ცხოველისა თუ ფრინელის ხარცით. ჩემს სიცოცხლეში ისეთი სიამოვნების წამი არ გამომივლია, მაშინ კი,



როცა ბუღბუღის მღერას ეუგდებდი ყურს ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი ძგარა-ძგური, ხმაურობა თითონ მევე კარგათ მესმოდა. მთელი ღამე არ დამდგარა, არ დაუსვენია, მთელი ჭალა იყო და ის.

—შენ ღამე ჭალაში რა გინდოდა? ამბობდა სევეი გაჯაერები.

—მინამ მთაში ლეში გაჩნდებოდა ბარათ დავდიოდი სადავლოთ. სანოგავეს, ღეთისა წინაშე, ბეერსაცა ეხედებოდი. დამეზარა მთაში წამოსვლა და ერთი ღამე ჭალაში ვათიე ერთ უზარ-მაზარ ბოკვზე. იმ ღამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია და იქნება კიდევ ველირსო ბუღბუღის ხმის გაკონებას. ამაღამაც იქნება წაფიდე, აღარა მშია და არაფერი. წაველ, დეჯდები იმავე ბოკვზე და დაუგდებ ყურსა, დილაზე კი აქვე გიანღებოთ. იმავე ხეზე, მეორე ტოტზე ყვავი იჯდა, თუმცა უგუნებოთ ბძანდებოდა, მაგრამ თვითოეულ სიტყვას ის მითარგმნიდა, მე მხოლოდ ხმა მომწონდა, სიტყვები კი არ მესმოდა, ყვავს ბუღბუღის ენა კარგა სკოდნოდა და დაწერილებით მითარგმნიდა; განა არ იცი ზამთარ-ზაფხულ ბარათა გდა და ადვილათ შეისწავლიდა.

—რას გითარგმნიდა, რატომ მეც არ მეტყვი? თქვა კვლავ სევემა.

—ბეერს რასმე, ვინ მოთელის! ყველა ვერ დავისწავლე, უთხრა მას ყორანმა:—ცოტა რამ კი მახსოვს, აი თურმე რასა მღერის ბუღბუღი: „ამოდით ყვავილნო, შეენიერნო, ტურჯანო, დედა-მიწის ანგელოზნო, თქვენ დავედევით მტლეთ, თქვენ გენაცვალეთ; უთქვენოთ ღმერმა ნუ მომცეს ერთის ღლის სიცოცხლე, თქვენა ხართ, თქვენა ჩემი სიცოცხლე. ტყეო დედა-მიწის გვირგვინო, მუღამაც იხარე ფოთლით და ნაყოფით, მუღამ მწევანობდეთ, მუღამ ჰლოობდეთ და მე საბრალო შენი მგოსანი გიმღეროდეთ, ვაქებ-ვადიდებდეთ შენს შეენებას, შენს შემოქმედს. უმანკოება შენი ნუმც შეიბღალეება რაიმე ცოდვით, რომ არ მატირო მწარეთ, გული არ დამიდაგო!

„წყარონო, წმინდაო, ანკარათ მდინარნო! რძეთ ვადენსთ ბუნება, რათა ყველა ცხოველს მოუკლათ წყურვილი, დასაქნობ-გასახმობათ გამზადებულნი მცენარენი მორწყოთ, გაახაროთ, გაანდლოთ, თავი მალლა ააღებინოთ; ნუ დაივიწყებთ, თქვენი ჰირიმე, უკანასკნელ მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე წყურია. ნურც დაიშრიტებით: იდინეთ, იწანწყარეთ; თქვენ რომ გხედავთ ჩემს გულში წმინდა გრძობა და დიდი სიყვარული თქვენსავეთა წანწყარებს. უფალო, ღმერთო, აკურთხე წყარონი, აკურთხე ყვეილნი, დამილოცე ტყე თქვენს მადლს და დიდებას ევთაყენე.

„მზეო, ყოველი არსის ნუვეშო, გაათბე, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით, ხალო ნუ დასწავე, ნუ დაჰგვაღავ, ნუ გააუუტებე კაცის და ბუნების მარჯვენის ამაკს; შენ ნიავო ციურო, მოეშველე მზეს, ერთათ შეზადით და თესეთ მადლი ქვეყანაზე. ძალანო ბუნებისანო, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუღარა ჩემი: აგერ სოფლები, აგერ ქოხები, იქვე ობლები, უბედრუენი, ბეჩაენი ტირიან — მიეშველეთ, მტირალი ვააცინეთ, მშიერი ვააძლეთ თქვენს ძალასა და მადლსა!.. ახ, საბრალონი რამდენი ტირის, რამდენი ოხრავს და იმათი ცრემლი კი ჩემს გულში ზღვასავეთა გუბდება — მე სულს მიხუთავს, სიცოცხლეს მიწამლავს.

„რამდენი მწყემსი ტირის და იმათ სარჩოს ითრევენ სევანი და ყორანნი, უმსგავსნი, უმადლო უკეთურნი ფრინველნი სხვისა ცრემლით თავის მასახლოებელნი, სხვის საუღავეზე მოკიკინენი. — მზარავს და მშამამავს იმათი მოგონება“ და სხვა-და-სხვა.

— რაო? სევანი და ყორანიო? თქვა სევამა მრისხანეთ: იმისმა მზემ, სვაი და ყორანი იმისი ცალი და ანათალი არიან, იმასავით შარტო უღურტულებენ და ვერ სიამოვნებენ ამ წუთისოფლის სიამოვნებით. რა ღმერთი ვაგიწყრა რომ მაშინვე არ ვადუხტი და თავი არ გაუჩეჩქე იმ წუწქს, იმ უბადრუქს იმას; იმდენს ვალაპარაკებდი განა ჩემს თავზე მე რომ იქა ეყოფილიყავი?!. არამი არ

იქნებოდა მაშინ ჩემი სიცოცხლე ჩემს თავზე თუ მაშინვე არ გავლეჯდი შუაზე.

— ეგრე პირდაპირ რომ ეთქვა მშრალის სიტყვით მეც ბარემ იმას უზამდი, მაგრამ ისე ლამაზათ, მოხდენით ამბობდა, რომ გავშემვდი, კლანტები ხის ტოტზე მიმეწება, ნისკარტი გამიშემდა; დამამონა, დამაუძლოურა. დარწმუნებული ვარ შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ადგილას, ხმას ვერ ამოიღებდი, კრინტსაც ვერ დასძრავდი. გავლეჯდი კი არა-დღეს სალამოსაც იქვე უნდა წავიდე და კიდე მოვისმინო ბუღბუღლის მღერა და თუ გნებავს შენც წამობძანდი, შენ ამოიყარე იმისი ჯავრი. ადგილია მისი მოკლეა, მისი დაქერა, თვალდახუჭული გალობს მუდამ; დილით მე თითონაც ვნახე, თვლები ეხუჭა და ისე მოთქვამდა.

— მე წამოვალ, თქვა სევამა—და ავ დღესაც დაეუწევე, გიჩვენებ იმის სეირს.

— აი, ენახოთ, მომყევე, მაშ წავიდეთ. თქვა ყორანმა: „ყრაანტ, გაისმა, აფრინდა და მასთან ალახლახდა სეაეიც და გასწიეს ერთათ.

III.

ხმირ—ბინდმა დაჰკრა, როცა დიდს ქალაში, დიდს ბოკვზე ორიენი, ყორანი და სეაეი ჩაეშვენ, დალაგდენ მძიმეთ და არხეინათ დაიკეცეს მხრები.

კარგა დალამდა. ყორანი თვალ-გაჯაციცებული ყელ-მოღვრებული, მოუთმენლათ ელოდა ბუღბუღლის აჩქამებას. სეაეს კი უმზგავსოთ ჩამოეშვა ჩინჩახეი, მოეკუმა ნისკარტი, გაეფართხა მხრები და თეთრს ტომარასავით იდგა ბოკვის ტოტზე.

— რატომ არა გალობს, სად ჯანაბას წასულა ის უმსგავსი-ოხერი? თქვა ბოლო დროს სევამა: დაუყვირე მაინც, რომ ხმა ამოიღოს.

— მოითმინე, ცოტა ხანს მოითმინე, უპასუხა ყორანმა: მე რომ

დაიყურო რას გავაგონებ და, ეინ იცის, ძალ-დატანებით იმღერებს კი?!

ცოტა ხანმა გაიარა და ჯერ თითქოს კენესასავით რაღაცა ხმა შემოესმათ.

— აგერ, აგერ, დაიწყო, დაიწყო, — თქვა განარებულმა ყორანმა — დაუგდე ყური, ის არის ისა, გალობს, დაიწყო, აბა ახლა შენ იცი როგორც ამოიყრი ჯაერს!

კენესას წკრიალი მოჰყვა ჯერ ნელა, ნელა, დინჯათ და ბოლოს ამაღლდა ხმა ღვთიური.

სევამა თავი აიღო და თვალები გაახილა. გაიჩმუნა. შუა-ღამემ მოატანა, ბუღბუღი გალობდა და სევეიც „ოჰ, ოჰ, ოჰო!“ იძახდა: — მართლაც, მართლაც გულსა ჰკოდავს, ყორანო!..

გათენდა, შეეყარა ბინდი ნათელს, ყორანი მიაშტერდა სევას და შენიშნა, რომ წუწიან თვალეზე ორი ცრემლა მიჰკრობოდა, დაღვრემილიყო.

— აბა, ბიძივე, რას აპირობ, მოჰკალი თუ შეგიძლიან. რას გარინდებულხარ, გაჩუმებულხარ. უთხრა თავ-მომწონეთ ყორანმა.

— ფიქრებში წავედი, ფიქრებმა გამიტაცეს. აღარ მინდა დანაპირები.

— მე ხომ გითხარი, ევრაფერს გაუბედავ-მეთქა. ხომ გახსოვს.

— მახსოვს და არც გიტყუენია. — თქვა სევამა ამოოხნრით.

შუა ღღე იქნებოდა, რომ სევეი და ყორანი დიდს ხევში ისხდნენ გვერდის-გვერდ და ლეშსა წიწკნიდნენ.

გაყა-ფაჰეკლა.



საკვირველი სიზმარი.



იღოეთის ქვეუბანში ერთი მეფე იყო, რომელსაც ასტიაღს ეძახდენ. ერთსელ ამ მეფემ საკვირველი სიზმარი ნახა: ვითომც მისი ქალის მუცლიდან ისეთი დიდი ხე ამოსულიყო, მთელ ქვეუბანს წრდილავდა.

გაკვირებულმა მეფემ დაიბარა თავისი ბრძენი ხალხი და უბრძანა, სიზმარი ამისხენითო. მათ ბევრი იფიქრეს და ბოლოს ასე მოახსენეს: „თქვენ ქალს ეოლევა შვილი, რომელიც მთელი ქვეყნის ბრძანებელი გახდებაო“.

მეფე ასტიაღს, მართლაც, ერთი გათხოვილი ქალი ჰყავდა. ის ჰყავდა ცოლათ სპარსეთის ერთს დიდ კაცს. დიდი ხანი არ გასულა, რომ ამ ქალს ვაჟი მიეცა; სახელათ მას კ ი რ ო ს ი დაარქვეს.

მეფე ასტიაღმა რომ ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე დაიბარა თავისი ერთგული ვეზირი გარზაღი და უბრძანა: წადი, მოსტაცე შვილი ჩემს სიმეს და მოჰკალიო.

ვეზირმა, მართლაც, მოიტაცა ემაწვილი, მაგრამ შეებრალა და თვითონ არ მოჰკლა: მისცა ვიღაც მწუქმს და უბრძანა, წაიყვანე და მოჰკალიო. ეს მწუქმსი, თურმე, უშვილო იყო, აიყვანა ემაწვილი, იშვილა და წრდა დაუწყო.

ზატარა კიროსი ძრეულ ლამაზი და ჭკვიანი ემაწვილი გამოდგა. ერთხელ ის და მისი თანატოლი ბავშები მინდორში „მეფობიას“ თამაშობდნენ. ბავშებმა მეფეთ ზატარა კიროსი აირჩიეს, მაგრამ ერთმა ემაწვილმა ზატარა მეფეს ურჩობა გაუწია, ამიტომ ამხანაგებმა მას, კიროსის ბრძანებით, ჯოხითა სცემეს. გალახული ემაწვილი მამასთან გაიქცა ტირილით და იჩივლა. მამა მისი, თურმე კარის კაცი იყო, ძრეულ გაჯავრდა და ეს ამბავი მეფე ასტიადს მოასწენა.

მეფემ ბრძანა: ვილაც ის კიროსია, აქ მომკვარეთო. მისი ბრძანება იმ წამსვე აღასრულეს, მაგრამ მან როკიროსი დაინახა, საშინლათ გაჭკვირდა. ის ემაწვილი სრულიად მის ქალსა ჰგავდა სხნით. დაიბარეს მწეემსი და გამოჰკითხეს ემაწვილის ვინაობა, მწეემსი შეშინდა, გამოტედა და ეველაფერი დაწვრილებით უამბო მეფეს. მეფეს ძრეულ შეეშინდა, სულ-ანლათ დაიბარა ბრძენი სალსი და უბრძანა: მიჩიეთ, რა უნდა ვქნაო. მათ მოასწენეს:

— ფიქრი ნუ გაქვთ, თქვენი სიზმარი კიდევ ამხდარა, რადგანაც თქვენი შვილი-შვილი ამხანაგებს აურჩევით მეფეთო.

ასტიადმა გული დაიმშვიდა, აიუვანა კიროსი და თავის მშობლებს დაუბრუნა. ის ვეზირი კი, რომელმაც მისი ბრძანება არ აღასრულა, საშინლათ დასაჯა. ამ ულ-

მერთო მეფემ მოატყვებინა ჩუმათ იმ ვეზირის შვილი, დააკლევინა, საჭმელი მოამსაღებინა, დახატოყა მამა-მისი და შვილის სორცი აჭამა. საწყალმა მამამ შიშით ვერა გაბედა რა, მხოლოთ გულში ჯაფრის ამოურა დაიძარსა.

გავიდა ხანი. კიროსი განიზარდა და საკვირველი ვაჟ-კაცი გამოდგა. იმ დროს სწარსელები მეფე ასტიაღს ჰქუავდა დამორჩილებული. კიროსმა განიზრახა თავისი ქვეყნის განთავისუფლება. ასტიაღის ჯაფრიც სომ სჭირდა, რადგანაც იგი მას ჰატარაობისას მოკვლას უპირებდა.

კიროსმა შეჰკრიბა ჯარი და გაილაშკრა მიდრეთის სასელმწიფოსე. ამ საქმეში მას ასტიაღის ვეზირი გარჯაღიც ხელს უწყობდა. ასტიაღი დახვდა კიროსს თავისი ჯარებით, მაგრამ დამარცხდა. კიროსმა გაიმარჯვა, ჩამოაგდო ტახტიდან თავისი შაჰა და თვითონ გამეფდა.

კიროსი იყო ღირველი შესანიშნავი მეფე მთელი სწარსეთისა და ბევრი ქვეყნებიც დაიპურო. სწარსელები ბოლოს ისე გაძლიერდნენ, რომ ჩვენ ქვეყანასაც მოსვენებას არ აძლევდნენ.

გ. წყალტუბელი.

ლაკლაკი (მარბუ)

სწორათ მოგზაურები აფრიკაში შეხედებიან მდინარეების. ნაპირებზე თავ-თხელ წყლებში, დიდრონ და უშველებელ გროვა ფრინველებს, რომელიც უძრავათ დგანან თავიანთ ნახევარ საყენიან ფეხებზე. ეს გოლიათი ფრინველი არის ყარყატი — ლაკლაკი.

სიმაღლით თითქმის საყენი არის, სიგრძე ხუთი ფუტი. თავი და ყელი მოტიტელებული აქეთ, უბუმბლო ნისკარტის სიგრძე ექნება ფუტ ნახევარი. ლაკლაკი (მარბუ) ძალიან მიეგვანება ხანში შესულ ფილოსოფოსს, რომელიც ჩაფიქრებულია წუთი-სოფლის არარაობაზე. ნემეცებმა სწორეთ კაი სახელი დაარქვეს იმას — „ტაინისოვეტნიკი“, მართლათაც ლაკლაკი ძალიან მიეგვანება თავ-მოტელებილ მოხუცებულ მალალ ხარისხის მოხელეს, რომელიც მედიდურათ დაჰყურებს თავის ხელ-ქვეითებს. მისი გარეგანი მორთულობა, თითქოს მომწვანო ფრაკი, თეთრი ჭილეტი და შალღარი, მართლა მიაგვანებს მას ეინზე ბრწყინვალე პირს.

მაგრამ, ვაი, იმ კუს ბრალი, რომელიც მოტყუებდა ლაკლაკის მედიდური შეხედულობით და მის ბრწყინვალეობას მიუახლოებდა! ქვეყანაზე ამისთანა გაუმადლარი და ავ.მუცელა არაეინ მოიპოვება! იმოდენა თევზს გადაყლაპავს ერთათ, რომ ოთხ კაცს ეყოფა, იმის ჩინჩახვიდან არა ერთხელ ამოუღიათ ხარის მთელი ფეხები. ერთ ლაკლაკს მუცელში უპოვეს მთელი შავი დიდი კატა. ეს გოლიათი ფრინველი თუნდ დაჭრილიც იყოს, თუნდ მონადირე სდევნიდეს, მაინც გზაზე, სირბილშიაც არ იშლის დაელის მოტაცებას, თუ კი მოახერხებს ხელში რისამე ჩადდება.

მისი გაუმადრობით ხშირათ სარგებლობს აფრიკის ხალხი.

სტელა, მგერ თოკს მოაბმენ
 სტერს დიდ ძვალს და სტე ნა-
 სურფალთან ერთად მოგვდებენ;
 აეზუცელა ვადულააფს ძვალს
 და სანამ თვის დიხწყეს უფარ-
 დება მტერს ხელში. ამ ფრან-
 ველს ამის მგერ სტე წუნი არა
 აქვს რა, ძალიან კვიანი და
 ფრთილია. დიდ გამჭრიახობას
 და ზრბის ჩენს თვეზის დევე-
 რაში, ათი-თორმეტი მთვანი
 ჩამჭრეიდება წულის ნაპირს
 და ერთი-მეორეს შველის თვე-
 ვის დევერაში. გამძლარი ლა-
 ლაკი ძალიან გულ-კეთილია,
 მგერამ ჩადესაც მშვიტია—
 დმერთმა უეცლა დაიჯაროს იმი-
 საგარ. სანაწელ ავაზაკთ ვადი-
 კვეა ზოლმე, დღესრულდებ-
 ლათ ეხმუბება ზორას და ფს-
 კუნჯს.

მოწინაურებული ლაკლა-
 კიც ძლივს იკავებს თავს, ცო-
 ლა ხანს თუ მშვიტი დარჩა, ერ-
 თი მოგზაური მოგვეთბრობს
 მოწინაურებული ლაკლაკის ამ
 პავს ყოველ სადილობაზე თუ-
 რზე თავის პატრონის სყმ,
 უკან დაებოდა ლეჩისაფით,
 არც კი აცლიდა სტუმრებს



დასხდომას, მოსამსახურეები თვალს ვერ აშორებდენ ამ არა მკოთხე ლაქიას, რადგან ერთნელ ლაქიამ ბლუდის ჩამოტარების დროს დაუდევრობა გამოიჩინა და ლაკლაკმა სწრაფათ მოსტაცა მთელი ქათამი და ერთს წამს გადაყლაბა.

ლაკლაკს დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან მრავლისაგან უმრავლეს გველებს და სხვა ქვემძრომებს ასალებს და მისი ბუმბული სიშვენიერით უკან არ ჩამოურჩება სირ-აქლემის (სტრაუსის) ბუმბულს, რომელიც ისე ძვირათ ფასობს ჩვენში.

ან. წ—სა.



სარაზი — მისიონერი.

(თავგანთავსება)



ლითი-წლობამდე ევროპის ყოველ კუთხიდან მიღიან შორეულ ქვეყნებში ასობით და ათასობით კაცები, რომელნიც მოწადინე არიან წმიდა სახარების ქადაგებით მოარჯულონ წარმართნი.

გამოჩენილ მისიონერთათ ითვლებოდა ვილიამ კერი. სამართლიანათაც დასახეს იგი მამათ ახალ-დროის მისიონერებისა; დიდი მცოდნე იყო ძვე-

ლი ენებისა და გათქმული მთარგმნელი დაბადებისა.

გველილ საუკუნის დამდეგს დაბადება იყო გადათარგმნილი მხოლოთ ორმოც-და-ათ ენაზე, ამ გამოჩენილ პირმა მარტო თითონ ოც-და-ათ ენაზე გადათარგმნა. ამ გვარი შრომის გაწევა ძნელი წარმოსადგენიც არის! ჯერ მარტო საფუძვლიანათ გადაკითხვა მთელი დაბადებისა ისე, რომ ყოველი სიტყვის, ყოველი წარმონათქვამის, ახსნა ადვილი იყოს. რა ძნელია, რომ გადათარგმნა რა იქნებოდა, მერე სიტყვა-სიტყვით, რომ არაფერი არ გამოიტოვოს, აზრი ნამდვილათ გადიცეს, როგორც დედანში არის, გადაითარგმნოს ერთ ენაზე ხომ არა — ოც-და-ათზე. ჭეშმარიტათ ამ გვარი შრომის დაუასებაც შეუძლებელია.

ამავე დროს ვილიამ კერი ქალაქ კალკუტის ახლოს პროფესორათ იყო ბენგალის და სანსკრიტის ენებისა, გეოგრაფიის და ასტრონომიის ლექციებს კითხულობდა და ბუნების მეტყველების გამოკვლევას მისდევდა, ამ დროსვე დასწერა მეურნეობაზე რამდენიმე თხზულება და შეადგინა ინდოეთის მცენარეების აღწერა. მას ჰქონდა შენიერი დიდი ბოტანიკური ბაღი იშვიათი მცენარეებით. ეს კიდევ არაფერი. ამან პირველათ გამოაცა ინდოეთში გაზეთი და გამართა

პირველი სტამბა, სადაც ორთქლის მანქანით ბეჭდავდა და ამით ყველა იქაური მცხოვრები განცვიფრებაში მოჰყავდა.

იკითხვით, ვინ იყო ეს საოცარი კაცი, რომელიც ასე თავდადებით მუშაობდა საზოგადოებისათვის? ეს იყო უბრალო ხარაზი ერთი პატარა ინგლისის სოფლიდან, ღარიბი ფეიქრის შვილი, რომელსაც სწავლა მიეღო სოფლის სკოლაში.

კერი დაიბადა 1761 წელს სოფელ პაულერსპოარში. რამდენსამე ხანს შემდეგ მისი დაბადებისა მამა მისი ამოირჩიეს სოფლის სკოლის მასწავლებლათ, მაგრამ ფეიქრობას თავს მაინც არ ანებებდა. იგი თავის ღარიბ ქონიდან გადასახლდა სკოლის შენობაში. ხუთი წლის ვილიამი—სხვა ბავშვებთან ერთათ სწავლობდა. ყმაწვილს მისცეს საკუთრათ ერთი პატარა ოთახი, რომელიც გაავსო სხვა-და-სხვა შესანიშნავი მცენარეებით და ფრინველებით: მოფეროვებინა ქვეყნის პეპელები, ხელიკები, ბუზანკალები და გალიით ფრინველები.

ისე არ წავიდოდა სასეირნოთ, რომ სახლში არ მოეტანა რაიმე საყურადღებო ყვეფილი და ან სხვა მცენარე. ამ ყვეფილებს გაახმობდა ხოლმე, ზედ წარწერას გაუკეთებდა ლათინურათ და დიდი სიფრთხილით შეინახავდა. სახელებს ტყობულობდა თავის ბიძისაგან, რომელიც მებაღეთ იყო.

ერთხელ ბავშვს ხელში ჩაუვარდა ლათინური ლექსიკონი, მოუჯდა ამ წიგნს და ყველა სიტყვები ზეპირათ დაისწავლა. ამითი გამოაჩნდა ვილიამს ენების შესწავლის ნიჭი, რომელმაც ბოლოს სახელიც გაუთქვა. მარტო გონება და ნიჭი არას უშველიდა, რომ ბეჯითი და მტკიცე ხასიათისა არა ყოფილიყო. ყმაწვილობითვე ეს თვისებები ქირდა. ერთხელ ბავში რომ იყო, მაღალ ხეზე ავიდა და ჩამოვარდა, სხეული, ძალიან იტკინა მაგრამ პატარა ხანს შემდეგ ისევ ავიდა ხეზე.

თოთხმეტი წლის ვილიამისი კიდევ ინახავდა თავის თავს, მინდორში გადიოდა, სამუშაოთ, მაგრამ სუსტი აგებულობისა იყო და ვერ შესძლო.

მაშინ ვილიამსი ხარაზს მიაბარეს.

ყმაწვილმა ბეჯითათ მოჰკიდა ხელი ხარაზობას. ერთხელ ხარაზის სახლში იპოვა ძველი, დაძენძილი, წიგნი უცნაურათ დაწერილი. დადხანს თავი იტყნა, არ იცოდა რა ენაზე იყო დაწერილი, სოფელში ვერაინ ვერ აუხსნა. ბოლოს წააწყდა ერთ ფეიქარს, რომელიც როდისღაც სწავლობდა გიმნაზიაში და ლეინის სმას გადაევიწყებინა ყველაფერი. იმდენი კა ახსოვდა ამ კაცს, რომ ვილიამს უთხრა, ბერძნული წიგნია ახალი აღთქმაო. ყმაწვილმა ძალიან გაიხარა.

მას შემდეგ მოსვენება აღარ ჰქონდა ფეიქარს, რომელიც თავისუფალ დროს, თუ რამე იცოდა ბერძნული, იძულებული იყო ესწავლებინა ვილიამსისთვის.

ხანი გადიოდა. ვილიამს—ცოლის შერთვის დროც დაუდგა, ერთი ხარაზის ქერიეი შეერთო და ხარაზობით დაიწყო ლუკმა-პურის მოპოვება. პატიოსანი ხელოსანი საქმეს კარგათ უძღვებოდა, მაგრამ დიდ ხანს არ გასტანა ამ მყუდრო ცხოვრებამ.

ვილიამსი მძიმეთ ავით გახდა, ველარ მუშაობდა და ხანგრძლივი ავითმყოფობის გამო მუშტარი შემოეთანტა. ამის გამო საქმეები გაუფუჭდა და როდესაც უკეთ შეიქნა საშუალება აღარა ჰქონდა. დაიწყო მასწავლებლობის ადგილის ძებნა. ბოლოს დროს ბეერს კითხვლობდა საღეთო წერილს და აკვირდებოდა ხოლმე სხვა-და-სხვა რელიგიურ კითხვებს ისე, რომ როდესაც დაბა მულტონის სკოლაში დანიშნეს მასწავლებლათ საღითო სჯულის ქადაგებაც დაიწყო.

საღითო წერილის შესწავლის დროს ვილიამსი დარწმუნდა, რომ ქრისტიანები კარგათ ვერ იქცევიან, რადგან თავიანთ სარწმუნოებას ვერ ავრცელებენ ურჯულოებთა შორის. დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ ბეერი ისეთი აღამიანები მოიპოვებინა ქვეყანაზე, რომ ქრისტეს სწავლისა არა იციან-რა. თავის ქადაგებაში ცხარეთ ურჩევდა ყველას, რომ აუცილებლათ საქირთა მისიონერების გაგზავნა წარმართების მოსარჯულებლათო.

თავდაპირველათ მულტონის მცხოვრებლები მის სიტყვებს ყუ-



რადღებას არ აქცევდენ, რამდენჯერჲე მკვანეთაც უპასუხეს, მაგრამ ეილიამსი ვერაფერმა შეაჩერა.

იგი თანდათან ცხარეთ გამოთქვამდა თავის აზრებს და ბოლოს მაინც და მაინც თავის საწადელს მიახწია. 1792 წელს დაახრსა მისიონერების საზოგადოება.

ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა: პირველათ ვინ წავა წარმართების მოსარჯულებლათ? ეილიამსმა დაუყოვნებლივ უპასუხა:

— მე დიდი ს-ამოვნებით წაველ, მხოლოთ ცოტაოდენი საშუალება აღმომიჩინეთო.

მერე ასტეხეს ლაპარაკი: საით უნდა გავგზავნოთ მისიონერებო? ცოტა ყოყმანობის შემდეგ გადაწყვიტეს გავგზავნათ ინდოეთში. სწორეთ ამ დროს იქიდან მოსულიყო ერთი ინგლისელი ექიმი, რომელსაც გამოეცაღნა კადეც საბარების გავრცელება ინდოელებთა შორის და ეს კაცი დაპირდა ეილიამს წამოგყვებო.

შეუდგენ ორიენტი გზას გემით, ხუთი თვის მოგზაურობის შემდეგ ძლიერ-ძლიობით მივიდენ ქალაქ კალკუტს, მაგრამ ვაჭირება და სიძნელე ჯერ წინ ედოთ. ეილიამ კერს ფული, რომელიც მეგობრებმა მისცეს გზაზევე გამოელა. უნდა ლუკმა-პურისთვის ეზრუნა. დახლიდრათ შედიოდა სხვა-და-სხვა სავაჭრო დუქნებში. ერთ დროს თითონაც გამართა რალაც პატარა ქარხანა, მაგრამ საშუალება რომ არა ჰქონდა ვერა გააწყობრა. ვერც მისიონერთათ გამოდგა, დიდ-დაბრკოლება გადაეღობა, არ იცოდა ადგილობრივი ენა. ინდოელებს რომელთაც უნდა მოესმინათ ამის ქადაგება, არ ესმოდათ კარგათ ინგლისური და არც უყვარდათ ამ ენაზე ლაპარაკი. ეილიამსმა მაინც არ დაჰკარგა მხნეობა და თავის მიზანს დაჟინებით მისდევდა; დაიწყო მუყაითათ შესწავლა სანსკრიტის და სხვა ადგილობრივ ენებისა.

ხუთ წელიწადში ეილიამსმა ისე შეენიერთათ შეისწავლა ყველა ენები, რომ თავისუფლათ, დიდ საზოგადოების წინ ქადაგებდა; გარ-

კვევით და საფუძვლიანათ უხსნიდა ადგილობრივ ხალხს წმიდა სახარე-
ბის სიტყვებს და შეუღლა კიდევ დაბადების თარგმნას.

ინგლისიდან მეგობრებმა მოაშველეს ფული, ასე რომ აღარ იყო
იძულებული ლუკმა პურისთვის ემუშავა, ამაზე დროსაც და ბევრ
ლონესაც ჰკარგავდა. იყიდა ერთი ისეთი სახლი, სადაც ყველას შე-
ეძლო ქადაგება. ამ სახლში 1800 წელს პირველათ მონათლეს ერ-
თი ინდოელი, რომელმაც ქრისტე იწამა ელიამსის ქადაგების მო-
წყალებით. ეს იყო ერთი დურგალი, ხელი ეღრძო და საწამლელოთ
მიმართა ელიამსის მეგობარს. ამ სახლში ელიამსი თარგმნიდა
ურიცხვ ენებზე დაბადებას, აქვე ედგა სტამბის მანქანა, რომელზე-
დაც ბეჭდავდა თავის ნაწერებს. სახლთანვე იყო გამართული
შგენიერი ბატანიკური ბაღი. ელიამს მოხუცებულობაშიაც ყმაწვი-
ლივით უყვარდა ყვავილები, ზრუნავდა მათზე, შეტრფოდა და არც
ერთს არ იმეტებდა მოსაგლეჯათ, სადაც კი იმგზავრებდა, უსათუოთ
იქიდან მოიტანდა მცენარეებს და მაშინვე გააშენებდა ბაღში,

ყოველ დილით, ექვს საათზე, შედიოდა თავის ბაღში, შინჯავ-
და ყვავილებს და დარიგებას აძლევდა მებაღესა. პატარა ხანს გაიფლ-
გამოიფლიდა და ფიქრობდა რა აქვს გასაკეთებელი ამ დღეს. საქმეე-
ბი აუარებელი ჰქონდა. ყოველ საათს, ყოველ წამს მუშაობას ახმა-
რებდა. ქალაქ კალკუტს მიდიოდა უნივერსიტეტში ლექციების წა-
საკითხათ შესახებ ენების შესწავლისა, ებაასებოდა ლარიბ ხალხსა
მდინარის ნაპირას, შეელაპარაკებოდა ნასწაველ ინდოელებს სამღეთო
წერილზე. შემოირტყამდა გარშემო ყმაწვილებს და ასწავლიდა. და-
იარებოდა სხვა-და-სხვა ადგილებში ღ ქადაგებდა სოფლებში, ქალაქის
მოედნებზე, ბაზრობის დროს. სადაც კი მოახელებდა. ერთი სიტყ-
ვით სულით და გულით მიეცა ამ საქმეს. ერთს ამხანავს სწერდა
შემდეგს: უნდა მთლათ ჩვენი თავი ამ დიდ საქმეს ვამსხვერპლოთო.
არ უნდა ვიფიქროთ რომ ჩვენი დრო, ჩვენი გონება, ჩვენი ძალა,
ჩვენი ოჯახი, ჩვენი ტანისამოსიცი, რომელიც ზედ გვაცვია—გვე-



კუთხოვს ჩვენ. — ეს ყველა ღეთასაა, ღეთას საქმეს უნდა მოხმარდეს...

ასეც რქვევოდა თითონ ვილიამსი. როგორც პრაფესორს ჯამაგირი ეძლეოდა წელიწადში ათას-ხუთასი მანეთი. თავისთვის და თავის ოჯახისთვის იღებდა მხოლოდ 400 მანეთს; დანარჩენს ახმარებდა ქრისტეს მოძღვრების გასაერცელებლათ. ყველა პატივის-სცემდა, აჯილდაობდა, თითონ კი აღზინდელივით მორცხვი იყო და უკვარდა როდესაც სხვები აქებდენ.

ვილიამსმა დაჰყო ინდოეთში 41 წელიწადი და გადიცვალა 73 წლისა. სიკვდილამდის მას არ შეუჩერებია თავისი შრომა.

ან. წ — სს.



ჭიანჭველების ჭკუა.

I



ეო შეენიერი იენისის დილა. ტუის ბოლოს აუ-
 არებელი ჭიანჭველები ფუსფუსობდენ. სხვათა შო-
 რის ერთი ჭიანჭველა მოათრევედა თავის-ტოლას
 ჰურის მარცვალსა. გზა უსწორ-მასწორო იყო.
 მალლობ ადგილიდან ჭიანჭველამ მალე ჩამოიტანა თავი-
 სი ბარგი და გაუდგა სწორ გზას ნელის ნაბიჯით. შემ-
 დეკ დახვდა ჰატარა გორაკა. აქ ჭიანჭველას ძალიან გა-
 უჭირდა ბარგის ატანა. ძალიან დაიღალა და ვეღარ და-
 სძრა ჰურის მარცვალი. ჰატარა ხნობით ჭიანჭველა შე-
 ჩერდა და დაფიქრდა. შემდეგ ბარგს თავი დაანება და ერთ
 ძეზობელ ჭიანჭველასთან მიცოცდა და გააჩერა. ბევრი
 ხანი ერთათ იდგენ, თითქოს რაღასაც ჩურჩულობენო.
 ამას შემდეგ ჭიანჭველებმა სიჩქარით გასწიეს ჰურის მარ-
 ცვლისაკენ და ერთი ერთმანეთის დახმარებით სოროში
 შეათრიეს ჰურის მარცვალი.

II

გამოჩენილი ამერიკის მეცნიერი ბენიამინ ფრანკლინი
 მოგვითხრობს ერთს ძაგალითს ჭიანჭველების ცხოვრე-

ბიდან შუაფში ფრანკლინს ჰქონდა შენახული ჰატარა ქი-
 ლა მურაბით სავსე. მას მიესივენ ჭიანჭველები და ჭამა
 დაუწყეს. ფრანკლინმა ჭიანჭველები გამორგვა და ქილა
 ჭერსე ჩამოჰკიდა წერილი თოკით. ერთი ჭიანჭველა
 ქილაში დარჩენილიყო. ჯერ ლამაზათ გამოძლა მუ-
 რაბით და შემდეგ დახირა ქილიდან ამოსვლა. ბევრი გა-
 ჭირების შემდეგ ჭიანჭველა ამომერა, აცოცდა თოკსე
 და იქიდან პირს ჩამოვიდა. გავიდა ნახევარ საათი. უცებ
 ფრანკლინმა მიიხედა კედლისაკენ და დაინახა შემდეგი:
 აუარებელი გროვა ჭიანჭველებისა კედელსე მიცოცავდენ,
 წინ მიუძღოდა ერთი ჭიანჭველა და გზას უჩვენებდა.
 რამდენსამე სანს შემდეგ მურაბით სავსე ქილა სრულიათ
 დააცარიელეს ჭიანჭველებმა.

ისკანდერ.





მეწიქვილე

იგავი



მეწიქვილეს წიქვილში ერთი დღე და ღამით მეგობარი ეწვია.

სტუმარმა დღისით ბევრი ისეირნა წიქვილის კარმიდამოში და საუცხოვოთ გაერთო. დადგა ღამე; მოვიდა ძილის დროც; მაგრამ, ვაი შენს მტერს:

წელის ბორბლის მსუილმა და ქვის გრგვინვამ ისე დაუფთხო სტუმარს ძილი, რომ მთელი ღამე თვალი არ მოუსუჭავს. გათენდა დილა, ზღაპვნით ადგა ლოგინიდან სტუმარი და უძილობისგან სრულიად დათენთილმა გულშემატკივრობით უთხრა მასწინებელს:

— „ჩემო ძმაო, ჭეშმარიტათ მებრბლები, რომ ასეთ გაჭირებაში ჩავარდნილხარ: შენ რომ მოსვენებას დანატრულელებული იქნები ამისთანა ვაგლასი სმაურობისგან: რა თავი ვიძლებს და ან რა მოთმინება გეოფნისო?“

მეწიქვილემ გაიცინა და მიუგო: — „შენ რომ წუხელის ჩემი წიქვილის სმაურობას შეუწუხებინარ, ეს მჯერა;



მაგრამ ჩემთვის კი ასეთი ღამეები ნამდვილი ბედნიერების მომასწავებელია; მოუსვენრობას და გაჭირებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა ჩემ წისქვილში სრული საჩუქე ჩამოვარდება ხოლმე, ე. ი. როცა უსაფუქვარობის გამო წისქვილის ბორბალი და ქვა ჩერდებაინო.

აღ. მ—შვილი.



ლომი და ფინია

(თარგმანი)



ლომს გალიაში ფინია შეუკდეს. ფინია აწუწუნდა, აკანკალდა შიშით და მიიკრუნჩხა გალიის კუთხეში. ლომი მივიდა და სუნვა დაუწყო. ფინია გაუგორდა ლომს კუდის ქნევით და ალერსით. ლომმა გაუწოდა მას თათი და გადააბრუნა. ფინია წამოსტა და უკანა ფეხებზე გაუნერდა. ლომმა დიდხანს უეურა და არა დაუშავარა. ამას შემდეგ ლომი და ფინია მუდამ ერთათ ცხოვრებდნენ გალიაში. როდესაც ლომს საჭმელს მოუტანდნენ, ის უოველთვის უხიარებდა ცოტაოდენს ფინიას. ხან-და-ხან თამაშსაც კი დაუწევებდა ხოლმე. ღამით ფინია ლომთან იწვა და თავი მის თათებზე ედო. ერთ წელს შემდეგ ფინია ავით განდა და მოკვდა. ლომმა საჭმელი აღარ მიიკარა; სულ ფინიას დაჭეურებდა და ხან ერთ კვერდზე გადააბრუნებდა მას და ხან მეორეზე. ბოლოს, რა დარწმუნდა, რომ ფინია მკვდარიაო, აიბუძვა, მორთო უშველებელი ღრიბლი, ავარდ დავარდა და გალიის რეინის ჯოხებს დაუწყო კბენა. შემდეგ დაწვა მკვდარ ფინიასთან და მიუხდა.

ლომის ზატრონმა მკვდარი ფინიას გადაკდება მონ-



დომა, მკრამ ლომმა თვალები გადმოუბრიალბ და ნება არ მასცა. ზატრონმა იფიქრა, მეორე ფინია რომ შეუგ-დო ლომს გალიაში, უთუთთ გამხინარულდებო, მკრამ რამწამს უცხო ძაღლი დანახა ლომმა გალიაში, სულ ნაკუწ-ნაკუწათ დაგლიჯა. ამას შემდეგ ამოიღო თათებ ქვეშ მკვდარი ფინია და ასე დაჭყო სუთი დღე; შეექვსე დღეს ლომიც მოკვდა.

ბესარიონი.



ათასი ოქრო.

(თარგმანი)

ერთმა მდიდარმა კაცმა მოიფიქრა დაერიგებინა ღარიბებისთვის ათასი ოქრო, მკრამ არ იცოდა, ვისთვის მიეცა მას ეს ფული; მივიდა მღვდელთან და უთხრა:

„მე მინდა, მამო, ღარიბებს დაურიგო ათასი ოქრო და არ ვიცი რომელს მიეცე? რომელი არი უფრო გაჭი-

რებული? თქვენ წაიღეთ ეს ფულები, და დაურიგეთ, ვისაც იცნობთ გაჭირებულს. მღვდელმა უხასუსა: „ფულები კარგა ბევრია! არც მე ვიცი, ვის რამდენი მივცე; შეიძლება ერთს ბევრი მივცე, მეორეს ცოტა. მითხარით, — რამდენ ღარიბს დაურიგო თქვენი ფული და სასელდობორ რამდენ-რამდენი?“

მდიდარმა უთხრა: „თუ თქვენ არ იცით, ვის მისცეთ ფულები, ღმერთმა სომ იცის. ვინც ღარიბთაგანი ჰირველი მოვა თქვენთან, იმას მივცით ეგ ფულები“.

ამ მღვდლის სამრევლოში ცხოვრებდა ერთი ღარიბი კაცი; მას ჰქვავდა ბევრი შვილები, სოლო თითონ ავად იყო და არ შეეძლო მუშაობა. ღარიბი კაცი სძირათ კითხულობდა დავითს და ერთხელ შესვდა შემდეგი სიტყვები: „მე ვიყავ ერთმა და მოვსუცდი და არ მინახავს ისეთი მართალი კაცი, რომ მისი შთამომავლობა დარჩენილიყოს ზურის მთოვარი“.

ღარიბმა იფიქრა: „აი, მე ვარ დატოვებული ღვთისაგან, თუმცა ცუდი არაფერი არ მიქნია. მოდი წავალ მღვდელთან, ვკითხავ მას, ასეთი ტუილი რათ სწერია“.

მივიდა ღარიბი კაცი მღვდელთან. დანახა თუ არა მღვდელმა — იფიქრა: „ეს ღარიბი ჰირველათ მოდის ჩემთან, მოდი ამას მივცემ ფულს“ — და მდიდრის მოცემული ათასი ოქრო სულ ამას ჩააბარა.



წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

ხალხური ლექსები

(გაგონილი ქართლში ვ. ბიბილაშვილისგან)

მე რომ საქმე მამივიდა,
 იტყვი: „ვთი შენი ბრალი!“
 ცალკე გაემართე დუქანი,
 დაეყენე დახლიდარი.

გავიარ გამოვიარე,
 „უბრაჯონოთ“ გადაეკარი!..
 დაეჯექ და ვიანგარიშე,
 დამდებოდა დიდი ვალი.

დედაჩემი მეუბნება:
 „ახლა დაგდგომია თვალი!“
 დაედეგ მერე მენახირეთ
 იმით გადვიხადე ვალი.

წუთი სოფელო, სტუმარო; კაცს მოჰკლავ, დააღონებო,
 დედას გაჰყრი და მამასა სხვათა შვილს შეაყვარებო.



გუთანო, ქრისტეს ნაკურთხო,
ღრმათ გაუარე კვალია,
რომელიც შენი მტერია,
შორით მოსთხარე თვალია.

ასეთია კაცის გული,
შიგ მორევი შავი ზღვისა;
რაც უნდა ბევრი რამ ჰქონდეს,
მაინც მოუწდება სხვისა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი კოცე გრძელისაგან).

შავია, მოლოზანსა ჰკაეს,
ტყეში გადაყუდებულსა,
არც არას გეტყვის მართალსა,
არც არას გამრუდებულსა;
თითო ყოველ კაცს თან ახლავს,
ყოველ სულს დაბადებულსა.

(წარმოდგენილი ალ. ბარნოკისაგან).

ტყეში ცალ-ფეხა ტახტი დგას.

ერთი წვეს და ვერა დგება,
ერთი მიჩბის, აღარ უცდის,
ერთი სკამს და ვერა ძღება.

(წარმოდგენილი გ. არღიშვილისაგან)

ფრთხილი, პატრონისა ერთგული ვინ არი ყველას გეინახავს;

ფიცხი და მრავალ სახელი, გარემოს კარგათ ინახავს,
 ოდეს გუნებით მოძულდეს კბილით ძმას და შეიღს გაბასრავს.

ან და ზ ე ბ ი.

აგი ნუ ხარ, ავისა ნუ გეშინიაო.

ერთმა ღორმა ჯაფანეთი ამოაგდო.

მკედარი და შინ მოუსეღელი ორივე ერთიაო.

მატემატიკური ამოცანა

(წარმოდგენილი ერ. ბაქრაძისგან).

იყო ერთი ღურგალი, ჰყავდა 24 შეგირდი და ცხოვრებდა ცხრა ოთახში: შუა ოთახში თითონ ღურგალ, იღვა და დანარჩენ რვა ოთახში 24 შეგირდი. ყოველ ღამ, როცა ოსტატი ძილს დაპირებდა, გამოვიდოდა ხოლმე გარეთ და დაათვალიერებდა შეგირდებს ამ გვარათ: თუ ყოველ სამ ოთახში ცხრა შეგირდს დათვლიდა დაშევიდებული შეეიღოდა თავის ოთახში. ერთ საღამოს ღურგლის შეგირდებს

3	3	3
3	ოსტ.	3
3	3	3

ოთხი უცხო შეგირდი ეწვია და ღამეც იმათთან დარჩენ, მხოლოდ ოსტატს რომ ვერ შეეტყო იმათი იქ ყოფნა 28 შეგირდი ისე მოთაესდა რვა ოთახში, რომ როცა ოსტატი ჩვეულებრივ გამოვიდა შეგირდების დასათვალიერებლათ ვერ შენიშნა ოთხი მეტი შეგირდი. მეორე საღამოს წავიდა ოთხი უცხო შეგირდი და თან ოთხი ღურგლის შეგირდიც წაიყვანა. ოსტატმა ახლაც ჩვეულებრივ დათვალა შეგირდები, მაგრამ მაინც ვერა შეატყუ-რა. როგორ მოახერხეს პირველ შემთხვევაში, ესე იგი როცა ოთხი მოემატათ და როგორ მოიქცენ შემდეგ, როცა 20 შეგირდი დარჩა?



ანდაზები, გამოცანები და რებუსი

ეპიტეზისი

(წარმოდგენილი გ.ფირალოვისაგან).


უ-ი-მ-უ-ი-ა-ც-ე-ზე-დ-ო-ა-ი-ც-ლ-ა-
ა-შ-ე-ლ-დ-ო.

შარადა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ერთი ხელოსნის სახელი
სამი სიტყვისგან შედგება:
პირველს—შენ შენ თავს უწოდებ,
მეორე კარზე ეკვდება:
იგი არცა ჰამს, არც დაღის,
ცეცხლიც არას გზით ეღება;
მესამე ყოველ საქმისთვის
მუშაკს წინ და წინ ერგება.
გამოსაცნობათ სხვის შეელა
ალარ მოგინდეს, ევება!

რებუსი.



ს

სქელათ
გათქმული
სატასტო
ქადაჭი

კაცის
სასული



№ V გამოცანების ახსნა:

1) ელვა. 2) სასწორი. 3) დედ-მიწა. 4) ზარი.

აკროსტიხი: ე. ნინოშვილი.

შარადა: 1) კილობანი. 2) იალბუჯი.

რებუსი: მელიას სული ხდებოდა, თავი კი საქათვისკენ მიჰქონდა.

გამოცანები, შარადა და რებუსი ახსნეს: ქუთაისის გემნაზიის მოსამზადებელ კლასის მოწაღემ დ. ლოლობერიძემ და თბილისის სასულიერო სასწავ. მოწაფე. ალექ. რუსიშვილმა.

რექტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.





საქმეწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წალიწადი მეზვიღა

გამოვა 1896 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის შილება ალგეითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возле кадетского корпуса).

2) ქუთაისში — მ. ბეჟანეიშვილთან, და თ. მთაერეიშვილთან.

3) ზღრაში — ბ. კლანდაძესთან.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში და გერ. კლანდაძესთან.

5) თელავში — მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერაში — შარამან ჩხეიძესთან.

7) თიონეთში — იე. ჩიბალაიშვილთან.

8) შვირილაში — არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

9) მინაილოვში — ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის აღრესი: *Во Тифлисе, во редакцию грузинскаго областного журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუძანისძვილი-წერეთლისა